ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 18 თებერვალი, 2019 №40 (7895) ფასი: 60 თეთრი

თეონა ჭალიძე: „საბავშვო ბაღებში ბავშვებს ვირისა და ცხენის ხორცს აჭმევდნენ“

გვ.3

15 თებერვლიდან

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

გუსტავ ფლობერი

მადამ ბოვარი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ირაკლი ჩიქოვანი შს მინისტრად ინიშნება?

გვ.2

რატომ ითხოვს ალასანიას ყოფილი თანაპარტიელი საგარეო საქმეთა მინისტრობას

„ივანიშვილი ხაზარაძეს ვერ გადაყლაპავს“

გვ.4

კახა კუკავა: „მამუკა ხაზარაძეს 40-50 მილიონის ინვესტირება პოლიტიკაში თავისუფლად შეუძლია“

იაგო კაჭკაჭიშვილი: „ხელისუფლების შესაცვლელად მასობრივი აქციები აუცილებელი არ არის“

გვ.6

თორნიკე მამალაძე: „ილოცონ, რომ ჩემი ძმა სიკვდილს გადაურჩეს, რადგანაც, თუკი რამე მოუვა, მეორე დღესვე ნათელი მოეფინება ყველაფერს“

დეკანოზ გიორგი მამალაძის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა

გვ.2

სამართალი გვ.7

შსს: „კიევში ქართველები კი არა, აზერბაიჯანელები დააკავეს“

ვენაში მცხოვრებმა ქართველმა მხატვარმა, ლია გულუამ, თავი მოიკლა

ფოთში 16 წლის მოზარდის ცხედარი 20-დღიანი ძებნის შემდეგ იპოვეს

ცრუ ჩვენების მიცემისთვის ა.ს. დააკავეს

ეკონომიკა გვ.5

ირაკლი ყიფიანი: „უმუშევრობის კომპენსაცია ეკონომიკას გაანადგურებს“

პრემიერი „თიბისის“ საქმეზე: „ყველას მოვუწოდებ, თავი შეიკავონ პოლიტიკური სპეკულაციებისგან“

გვ.5

თამაზ ბაკურიძე: „აჭარაში პენსიონერები ქართული ფულით უნდა გაკეთდეს“

გვ.6

ISSN 1987-9385

5 რას აპირებს პუტინი კავკასიაში?

3 ავთანდილ დემეტრაშვილი: „ივანიშვილი ზურაბიშვილს უსაფრთხოების საბჭოში შეიყვანს“

2 ბოლო ერთ თვეში ბიძინა ივანიშვილის ქონება 100 მლნ დოლარით გაიზარდა

8 ლონდონში კარლ მარქსის საფლავი შეურაცხყვეს

ირაკლი ჩიქოვანი შს მინისტრად ინიშნება?

რატომ ითხოვს ალასანიას ყოფილი თანაპარტიელი საგარეო საქმეთა მინისტრობას

შორენა მარსაგიშვილი

შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას წყალობით, „ქართულ ოცნებას“ ზუგდიდში მერობის კანდიდატი აღარ ჰყავს. არადა, თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ მერის რიგგარეშე არჩევნებზე მმართველი პარტია ირაკლი ჩიქოვანის კანდიდატურას წარადგენდა.

ირაკლი ალასანიას ყოფილი თანაპარტიელი ამ შეთავაზებას დათანხმდა, მაგრამ, როგორც „ახალ თაობას“ სარწმუნო წყარომ ამცნო, ჩიქოვანს მერობა გიორგი გახარიამ გადააფიქრებინა, რომელიც, სავარაუდოდ, მარტის ბოლოს დაემშვიდობება შს მინისტრის პოსტს და პრემიერის სკამზე გადაჯდება.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ცოტა ხნის წინ გახარია ჩიქოვანს პირისპირ შეხვდა და მომავალზე ესაუბრა. შს მინისტრმა ალასანიას ყოფილ თანამებრძოლს აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადასვლა და მინისტრის სავარძლის დაკავება შესთავაზა.

„ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო „ახალ თაობას“ უყვება, რომ გახარიას შეთავაზებას ჩიქოვანი დათანხმდა. მან მომავალ პრემიერს ის თანამდებობაც დაუსახელა, რომლის დაკავებაც სურდა.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ალასანიას ყოფილმა თანაპარტიელმა პრემიერობისთვის განწირულს უთხრა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრობა სურდა, რაზეც გახარიამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

როგორც ირკვევა, ამ თანამდებობაზე კადრი უკვე შერჩეულია და ის დავით ბაქრაძე იქნება. დავით ბაქრაძე საგარეო საქმეთა მინისტრად ადრეც განიხილებოდა, მაგრამ მაშინ ამ პოსტზე რატომღაც დავით ზალკალიანი შეარჩიეს.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

თორნიკე მამალაძე: „ილოცონ, რომ ჩემი ძმა სიკვდილს გადაურჩეს, რადგანაც, თუკი რამე მოუვა, მეორე დღესვე ყველაფერს ნათელი მოეფინება“

დეკანოზ გიორგი მამალაძის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა

შორენა მარსაგიშვილი

დეკანოზ გიორგი მამალაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. პატიმრობაში მყოფი დეკანოზი საავადმყოფოში 15 თებერვალს მოხვდა. ადვოკატებისა და ოჯახის წევრების განმარტებით, მას მეტყველება უჭირს და მარჯვენა კიდურს ვერ ამოძრავებს.

მამა გიორგი რომ თავს ცუდად გრძნობდა, ამის შესახებ მისი ძმა, თორნიკე მამალაძე, ჯერ კიდევ ორი კვირით ადრე საუბრობდა. თორნიკე მამალაძემ ახლობლებთან ერთად საპატრიარქოსთან აქციაც კი დაიწყო. ის ითხოვდა, რომ მისი ძმა ეზიარებინათ.

პატიმრობაში მყოფი დეკანოზი მას შემდეგ არ უზიარებიათ, რაც ის დააკავეს. ის კი 2017 წლის 10 თებერვალს დააკავეს.

მას შემდეგ, რაც დეკანოზის ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა და ის კლინიკიდან საავადმყოფოში გადაიყვანეს, სასულიერო პირებმა მისი ზიარება გაბედეს.

მამა გიორგი 16 თებერვალს მისმა მოძღვარმა, მამა ნიკოლოზმა აზიარა, რომელიც თბილისში ბათუმიდან ჩამოვიდა.

მამა ნიკოლოზის მტკიცებით, ის დეკანოზის ზიარებას 18 თებერვალს აპირებდა, მაგრამ მამა გიორგის ჯანმრთელობის მდგომარეობამ აიძულა, უფრო მალე ჩამოსულიყო პატიმრის საზიარებლად.

– მოსული ვიყავი, მამა გიორგი შეუძლოდ გახლდათ. ამჟამად მოთავსებულია საავადმყოფოში და ამან დააჩქარა მისი ზიარების საკითხი. ორშაბათისთვის უნდა ჩამოვსულიყავი და უნდა მეზიარებინა, მაგრამ, როგორც კი გავიგე, რომ ავად გახდა, ვამჯობინე, დამეჩქარებინა, დღეს ჩამოვსულიყავი და მეზიარებინა. ღვთის წყალობით, ეზიარა მამაო. იმედია, მალე განიკურნება.

როგორც ვიცით, მამაოს ინსულტი ჰქონდა და მარჯვენა მხარე აქვს გაჩერებული. იმედია, ღვთის წყალობით კარგად გახდება. ნანობს თუ არა, ეს უკვე აღსარების საკითხია. მამაოს გადაადგილება არ შეუძლია, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში მამა ნიკოლოზმა.

მამა ნიკოლოზის მსგავსად, დეკანოზის უკეთ გახდომის იმედი ჰქონდათ მისი ოჯახის წევრებსაც. სამწუხაროდ, მოლოდინი არ გამართლდა და გუშინ, 17 თებერვლის საღამოს, მამა გიორგის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ინფორმაცია მამა გიორგის ადვოკატმა მია ზოიძემ მიაწოდა, რომელმაც გუშინ დეკანოზი მოინახულა.

– მე ვადარებ წინა დღეების მდგომარეობას, როგორ გვეკონტაქტებოდა და როგორ იყო. 17 თებერვალს, სამწუხაროდ, უფრო ცუდად გრძნობდა თავს. როგორც თვითონ გვითხრა, ის იყო გადაყვანილი ავერსის კლინიკაში დამატებითი კვლევებისთვის, რომელთა ჩატარებაც ვერ მოხერხდა ღუდუშაურის კლინიკაში. თვითონაც თავს შედარებით ცუდად გრძნობს, ვიდრე წინა დღეებში.

მაგალითად, მეტყველება უფრო უჭირს, ვიდრე წინა დღეებში და თავს გრძნობს უფრო ცუდად, ვიდრე თვითშეგრძნება ჰქონდა. ისე ვერ გადაადგილდება, – განაცხადა ადვოკატმა.

დეკანოზის მონახულება მისი ოჯახის წევრებმაც ცადეს. თორნიკე მამალაძის განცხადებით, როგორც მას განუმარტეს, ციხის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დეკანოზის ოჯახის წევრები პალატაში არ შესულიყვნენ.

დეკანოზის ძმის ინფორმაციით, ის დაუკავშირდა №9 პენიტენციარული დაწესებულების ადმინისტრაციას იმის გასარკვევად, თუ რის საფუძველზე არ უშვებდნენ პალატაში.

მისი თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება ციხის ადმინისტრაციამ ბადრაგის სამსახურს გადააბრალა, ბადრაგის სამსახური კი აღნიშნულს ექიმების გადაწყვეტილებას უკავშირებს.

– მსურდა, შევსულიყავი ჩემს ძმასთან, თუმცა, ბადრაგმა არ შემიშვა და მითხრა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო ციხის ადმინისტრაციამ. ამის შემდეგ დავრეკე ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან, რომლებმაც მითხრეს, რომ ეს გადაწყვეტილება ბადრაგის სამსახურმა მიიღო. ბადრაგის სამსახურში კი განმიმარტეს, რომ მათ ეს გადაწყვეტილება ექიმების გადაწყვეტილების საფუძველზე მიიღეს.

თავად ექიმი ადგილზე არ იმყოფებოდა და მისგან განმარტება, თუ რატომ არ შემიშვეს პალატაში, არ მიმიღია. ალბათ ეს არის დამატებითი ბარიერი, რადგან გუშინ მე ჩვეულებრივად შევედი პალატაში, ვესაუბრე ჩემს ძმას, მასთან მიახლოების საშუალებაც მომეცა. ამავდროულად, გუშინ სასულიერო პირი საათ-ნახევრის განმავლობაში იმყოფებოდა პალატაში და მე ვერ ვხვდები, რამდენიმე წუთით რატომ არ შემიშვეს ჩემს ძმასთან, – უთხრა ჟურნალისტებს თორნიკე მამალაძემ.

მან პატიმრობაში მყოფი ძმის მონახულება 16 თებერვალს შეძლო. ის ავადმყოფ ძმასთან ცოტა ხნით შეუშვეს, ამბობს, რომ დეკანოზი თავის მცირეწლოვან შვილებზე ესაუბრა.

– მე მქონდა რამდენიმე წუთით შეხვედრა. ვისაუბრეთ ოჯახზე, რადგანაც იგი ნერვიულობს მცირეწლოვან შვილებზე. ჩემი ძმისშვილები ფლობენ მასზე ინფორმაციას და ჩემი ძმა ნერვიულობს, – განაცხადა თორნიკე მამალაძემ.

მამა გიორგის ცუდად გახდომამდე რამდენიმე დღით ადრე მასთან დაკავშირებით სკანდალური ინფორმაცია გავრცელდა. კერძოდ, ცნობილი გახდა იმ წერილის შესახებ, რომელიც დეკანოზმა ოთხ ეპისკოპოსს გამოუგზავნა.

წერილის დეტალებზე არავინ საუბრობს, მხოლოდ იმას ამბობენ, რომ მამა გიორგი წერილში იმ ბიზნესებზე საუბრობს, რომლებსაც პატრიარქის და ფლობს. დეკანოზის ცნობით, მან ამ ბიზნესების შესწავლა დაკავებამდე ცოტა ხნით ადრე დაიწყო. მამა გიორგის ინფორმაციით, როცა პატრიარქმა ამის შესახებ გაიგო, ძალიან გაბრაზდა.

მას შემდეგ, რაც მამა გიორგი ინსულტით საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, საზოგადოების ნაწილმა თორნიკე მამალაძეს ძმის სკანდალური წერილის გასაჯაროება მოსთხოვა.

თორნიკე მამალაძე არც ამ და არც სხვა წერილების გასაჯაროებას არ ჩქარობს, თუმცა საქართველოს საპატრიარქოს აფრთხილებს.

– ჩემი ძმის ამ მდგომარეობას ვაკისრებ საქართველოს საპატრიარქოსა და თავის ხელმძღვანელობას, რადგან თვითონ ფიქრობენ, რომ, ჩემი ძმის გარდაცვალების შემთხვევაში, ის ინფორმაციები, რომლებსაც ჩემი ძმა ფლობს, ჩემს ძმასთან ერთად მოკვდება.

ძალიან ცდებიან, რადგანაც ჩემი ძმისგან გამოგზავნილი წერილები მაქვს, სადაც დეტალურად არის აღწერილი და ილოცონ, რომ ჩემი ძმა სიკვდილს გადაურჩეს, რადგანაც, თუკი რამე მოუვა, მეორე დღესვე ნათელი მოეფინება ყველაფერს, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში თორნიკე მამალაძემ.

ძმის მდგომარეობით შეშფოთებულმა თორნიკე მამალაძემ საქართველოს პრეზიდენტს დეკანოზის შეწყალების თხოვნით მიმართა.

ძმის შეწყალებას ის საქართველოს პატრიარქსაც სთხოვს.

– ის, რომ ზიარება მოხდა, არის კარგი, მაგრამ, სამწუხაროდ, სანამ ამ მდგომარეობამდე არ მივიდა, არ მოხდა მისი ზიარება. მე მივმართავ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რადგანაც ჩემი ძმა არის სასულიერო პირი და მისი მღვდელია, განმეორების შემთხვევაში ჩემი ძმის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. ამიტომაც მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით და, ასე რომ ვთქვათ, შეასრულოს თავისი მოვალეობა მწყემსი კეთილობით, – განაცხადა თორნიკე მამალაძემ.

❖ ❖ ❖

გუშინ, 17 თებერვალს, მამა გიორგის მხარდასაჭერად საპატრიარქოსთან აქცია გამართეს.

აქციაზე მისულებმა დეკანოზის გათავისუფლება მოითხოვეს.

– დეკანოზ მამალაძის ჯანმრთელობის დღევანდელი მდგომარეობა ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ მას საპატიმრო სასჯელი უნდა შეეცვალოს არასაპატიმრო სასჯელით იმიტომ, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

მე სრულიად ვეთანხმები და მოვედი აქ იმიტომ, რომ მხარი დავუჭირო დეკანოზ გიორგი მამალაძის ოჯახს. იმ მასალების მიხედვით, რომლებიც ჩვენ გვაქვს ამ ორი წლის განმავლობაში, მკაფიოდ ჩანს, რომ დეკანოზი უდანაშაულოა და ის არის საპატრიარქოს კარის ინტრიგების მსხვერპლი ხელისუფლებასთან და კონკრეტულად სუსთან ერთად.

გამომდინარე აქედან, მისი გათავისუფლების გზა არსებობს ერთადერთი, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ის შეიწყალოს, – განაცხადა აქციაზე მისულმა ქრონიკა +-ის რედაქტორმა ელისო კილაძემ.

ბოლო ერთ თვეში ბიძინა ივანიშვილის ქონება 100 მლნ დოლარით გაიზარდა

აღსანიშნავია, რომ რეიტინგში საქართველოდან მხოლოდ 62 წლის ბიძინა ივანიშვილია, რომლის ქონებაც, 2019 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით, 5.17 მლრდ დოლარად არის შეფასებული. ამასთან, ამ დროისთვის ივანიშვილი Bloomberg-ის მილიარდერთა სიაში 314-ე ადგილზეა.

როგორც „ბლუმბერგის“ მილიარდერთა ინდექსშია აღნიშნული, მისი ქონება ბოლო ერთ თვეში 100 მლნ დოლარით არის გაზრდილი. ცნობისთვის, 2019 წლის 15 იანვრის მდგომარეობით, მისი ქონება 5.07 მილიარდ დოლარად იყო შეფასებული.

5.17 მილიარდი დოლარით ბიძინა ივანიშვილს შეუძლია შეიძინოს 3.93 მილიონი უნცია ოქრო და 78 მილიონი ბარელი ნავთობი. მისი ქონება უტოლდება შეერთებული შტატების მშპ-ს 0.0267%-ს, მსოფლიოს 500 ყველაზე მდიდარი ადამიანის ქონების 0.1%-ს, შეერთებულ შტატებში „ტოპ“ 200 აღმასრულებელი დირექტორისთვის მიცემული კომპენსაციის 82%-ს, შეერთებული შტატების „ტოპ“ 100 კოლეჯის შეწირულობის 1.31%-ს.

აღსანიშნავია, რომ მილიარდერების ინდექსის თანახმად, ივანიშვილის ქონება ყველაზე მაღალი – 2013 წელს იყო, როცა 6.40 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა.

გამოცემას ბიზნესმენთან დაკავშირებით მცირე ინფორმაციაც აქვს დატანილი, სადაც ივანიშვილის ბიზნესსაქმიანობის დაწყებისა და პოლიტიკური კარიერის მოკლე ისტორიაა ასახული.

– ივანიშვილმა კარიერა პოსტსაბჭოთა რუსეთში 1990-იან წლებში რკინის მადნის მოპოვებაში, ბანკებსა და უძრავ ქონებაში ფულის ჩადებით დაიწყო. თავისი აქტივების უმეტესობა 2003-2006 წლებში გაყიდა, დანარჩენი ნაწილი გაიყიდა საქართველოში პრემიერ-მინისტრად არჩევამდე 2012 წელს. ერთი წლის შემდეგ კი ის თანამდებობიდან გადადგა, – იუწყება გამოცემა.

ცნობისთვის, Bloomberg-ის მილიარდერების ინდექსი მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების ყოველდღიური რეიტინგია. BPN.GE

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ივანიშვილი ზურაბიშვილს უსაფრთხოების საბჭოში შეიყვანს“

ავთანდილ დემეტრაშვილი: „ირაკლი კობახიძის პოზიცია ჩემთვის გაუგებარია“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს, უნდა იყოს თუ არა პრეზიდენტი წარმოდგენილი ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში.

– ბატონო ავთანდილ, სალომე ზურაბიშვილი უსაფრთხოების საბჭოში მისი, როგორც პრეზიდენტის, მონაწილეობას ითხოვს. „ქართული ოცნების“ დეპუტატები, კონსტიტუციონალისტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ის არბიტრია და აღმასრულებელ ხელისუფლებაში არ უნდა მონაწილეობდეს. თქვენი პოზიცია როგორია?

– სალომე ზურაბიშვილის ეს პოზიცია ახალი არ არის. კონსტიტუციის ახალი რედაქცია როდესაც მუშავდებოდა, ის ამბობდა, რომ პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნები უნდა იყოს, რომ არ უნდა გაუქმდეს ეროვნული უშიშროების საბჭო და ა.შ. ოთხი წინადადება ჰქონდა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში წარმოდგენილი. მისი ერთ-ერთი ძველი პოზიციაა, რომ პრეზიდენტი პოლიტიკური პროცესების აქტიური მონაწილე უნდა იყოს.

ამდენად, ჩემთვის სულაც არ არის მოულოდნელი, რომ ის ითხოვს უსაფრთხოების საბჭოში ჩართვას, როგორც წევრის.

კონსტიტუციურად, პრეზიდენტი, რომელიც პირდაპირი წესით არის არჩეული და ყველაზე მაღალი ლეგიტიმაცია აქვს ხალხისგან, ქვეყნის პოლიტიკის განსაზღვრაში უნდა მონაწილეობდეს. ამას საფუძველი აქვს მოქმედ კონსტიტუციაში. პირველ რიგში, ის არის სახელმწიფოს მეთაური, არა პარლამენტის, არა მთავრობის, არამედ მთლიანად სახელმწიფოსი.

მეორე, პრეზიდენტი არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

რა საკითხები უნდა განიხილოს უსაფრთხოების საბჭომ, თუ არა სწორედ ქვეყნის, ეროვნული ინტერესები და უსაფრთხოების, სამხედრო საკითხები?! და თუ მთავარსარდალია პრეზიდენტი, მაშინ ეს ის საკითხებია, რომელთა გადაწყვეტაში მონაწილეობა უნდა მიიღოს თავად პრეზიდენტმა.

კონსტიტუცია პირდაპირ გვეუბნება, რომ ხელისუფლებები ერთმანეთში უნდა თანამშრომლობდნენ. ხელისუფლების დანაწილება არა მხოლოდ განცალკევებას, არა მხოლოდ შეკავებაგაწონასწორებას ითვალისწინებს, არამედ – თანამშრომლობასაც.

მითხარით ერთი ორგანო მაინც, სადაც ქვეყანაში განსაკუთრებული მდგომარეობის დროს პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტი და პარლამენტის თავმჯდომარე იყვნენ წარმოდგენილი.

ასეთი ორგანო უნდა იყოს უსაფრთხოების საბჭო, სადაც სწორედ ეს ხელმძღვანელი პირები უნდა იყვნენ წარმოდგენილი. მე არ მესმის, რატომ არ უნდა მიიღოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში მონაწილეობა პრეზიდენტმა! პრეზიდენტი ითხოვს, რომ მისი პოზიციაც იყოს მოსმენილი და სხვა არაფერი.

– კონსტიტუციონალისტების ნაწილი მიიჩნევს, რომ არბიტრია პრეზიდენტი.

– და თუ ინფორმაცია არ ექნება, როგორი არბიტრი იქნება?! ჯერ ერთი, არბიტრი კი არ არის პრეზიდენტი, ის არის სახელმწიფოს მეთაური, ყველაზე მაღალი ლეგიტიმაციის მქონე პირი ქვეყანაში. ამიტომ მე მხარს ვუჭერ პრეზიდენტის ამ წინადადებას, დიახ, ის უნდა იყოს ახალ, რეფორმირებულ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში წარმოდგენილი.

– შეიძლება, ეს საკითხი მთავრობასა და პრეზიდენტს შორის დაპირისპირების მიზეზი გახდეს?

– არა, არა, ჯერ ადრეა. სალომე ზურაბიშვილი არის პრინციპული პოზიციის მქონე ადამიანი. ეს იცის ყველამ, მათ შორის იციან მთავრობაშიც და ამიტომ ის ყოველთვის ეცდება, თავისი პრინციპული პოზიცია დაიცვას და გაიტანოს.

თუმცა, ერთიც კი არის – მას არ ავიწყდება, რომ მხოლოდ „ქართული ოცნების“ მხარდაჭერით გავიდა პრეზიდენტის არჩევნებში და გახდა გამარჯვებული. ჯერ მადლიერების გრძნობა უფრო ძლიერია, ვიდრე სხვა ქვენა გრძნობები. ამიტომ მე გამოვრიცხავ მწვავე დაპირისპირებას.

– თუ კონსტიტუციაც უშვებს ამას, მაშინ რატომ ეწინააღმდეგება მთავრობა, პარლამენტი პრეზიდენტის მონაწილეობას უსაფრთხოების საბჭოში?

– ჩემთვის ნამდვილად მოულოდნელია ირაკლი კობახიძის პოზიცია, რადგან მან, როგორც მაღალი დონის კონსტიტუციონალისტმა, ნამდვილად უნდა იცოდეს, რომ ხელისუფლებები ერთმანეთს არა მხოლოდ ეპაექრებიან, არამედ ეთანამშრომლებიან კიდეც.

პრეზიდენტი არ არის განცალკევებული ორგანო ხელისუფლებისგან. ასევე, ნუ გვავიწყდება, რომ პრეზიდენტი პირდაპირი გზით არის არჩეული და მას მანდატი ხალხისგან აქვს.

– თუ პარლამენტი შეეწინააღმდეგება, როგორ გაიტანს ამ მოთხოვნას?

– როგორ ჩანს, ჯერ ბიძინა ივანიშვილის ყურამდე არ მისულა ეს ამბავი. მე მაინც ვფიქრობ, რომ მის ამ მოთხოვნას ბიძინა ივანიშვილი დააკმაყოფილებს.

„საბავშვო ბაღებში ბავშვებს ვირისა და ცხენის ხორცს აჭმევდნენ“

თეონა ჭალიძე: „ხელისუფლებას ასეულობით ბავშვის ჯანმრთელობა 20.545 ლარი უღირს“

შორენა მარსაგიშვილი

„საბავშვო ბაღებში შეტანილი პროდუქტების შემოწმების უფლება ნებისმიერ ადამიანს უნდა ჰქონდეს“

მთელი ქვეყანა შოკში ჩაადგო ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ 8 თვის განმავლობაში საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს ცხენის ხორცს აჭმევდნენ.

იმის ნაცვლად, რომ არაკეთილსინდისიერი კომპანია, რომელიც ბაღებს ხორცით ამარაგებდა, პასუხისგებაში მიეცათ, ის მხოლოდ დაჯარიმეს.

„ახალი საქართველოს“ სოციალური მიმართულების ხელმძღვანელ თეონა ჭალიძის თქმით, იმისთვის, რომ მსგავსი ფაქტები აღარ მოხდეს, არაკეთილსინდისიერი მიმწოდებლები უმკაცრესად უნდა დაისჯონ.

როგორ ხვდება საეჭვო პროდუქტები საბავშვო ბაღებში, რისი უფლება უნდა მივცეთ მშობლებსა და დაინტერესებულ პირებს, რა სასჯელი უნდა დაეკისროთ არაკეთილსინდისიერ მიმწოდებლებს? – ამის შესახებ თეონა ჭალიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

თეონა ჭალიძე:

– ახლა ყველა იმაზე ლაპარაკობს, რომ სამტრედიის 24 საბავშვო ბაღში კომპანია „ელენიკოს“ ცხენისა და ვირის ხორცი შეჰქონდა. ეს ქმედება სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მხოლოდ რვა თვის თავზე აღმოაჩინა.

ამ ფაქტს ძალიან მწვავე რეაქცია უნდა მოჰყოლოდა და კომპანიის წარმომადგენლები მკაცრად დაესაჯათ. მსგავსი არაფერი მომხდარა, კომპანია, რომელსაც საბავშვო ბაღებში 8 თვის განმავლობაში ცხენისა და ვირის ხორცი შეჰქონდა, 20.545 ლარით იქნა დაჯარიმებული.

– როგორც სურსათის სააგენტომ განაცხადა, ამის გარდა, კომპანია შავ სიაში იქნა შეყვანილი.

– არც ეს არის საკმარისი. ამ კომპანიას შეუძლია, სახელი შეიცვალოს და ტენდერებში უპრობლემოდ მიიღებს მონაწილეობას.

არც 20.545-ლარიანი ჯარიმა და არც შავ სიაში შეყვანა საკმარისი არ არის. როგორ შეიძლება, ასეულობით ბავშვის ჯანმრთელობისთვის საფრთხეში ჩაგდება მხოლოდ 20.545 ლარად შეფასდეს. ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ არაკეთილსინდისიერმა კომპანიებმა ბავშვების ხარჯზე ეკონომია და ფული ვეღარ გააკეთონ.

– სხვა საბავშვო ბაღები დაზღვეული არიან იმისგან, რომ, სამტრედიის მსგავსად, მათთანაც ვირისა და ცხენის ხორცი არ შეჰქონდათ?

– როცა არსებობენ არაკეთილსინდისიერი კომპანიები, იქ არავინ არაფრისგან არის დაზღვეული. არაერთხელ გამოითქვა ეჭვები იმის შესახებ, რომ საბავშვო ბაღებში საეჭვო პროდუქტები შეაქვთ.

ამ პრობლემის მოგვარება მკაცრი კონტროლით შეიძლება. სურსათის ეროვნული სააგენტო უფრო ხშირად უნდა ამოწმებდეს საბავშვო ბაღებს.

– თუ გავითვალისწინებთ, რომ ბავშვები 8 თვე ვირისა და ცხენის ხორცს ჭამდნენ, შემოწმება იშვიათად ხდება.

– ეს შემოწმებები არასაკმარისია. ჩვენ, „ახალი საქართველოს“ სოციალური სამსახური, ორი წელია ვითხოვდით სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ბაღების შემოწმების სიხშირის გაზრდას.

მათ ჩვენი მოთხოვნა არ გაიზიარეს. სამტრედიის შემთხვევა ადასტურებს, რომ ბევრი მძიმე დარღვევა რჩება ყურადღების მიღმა.

აუცილებელია კანონმდებლობის გამკაცრება ამ დანაშაულზე და აუცილებელია, კანონით მიეცეს უფლება ყველა დაინტერესებულ პირს, ნებისმიერ დროს ლაბორატორიულად თუ ისე შეამოწმოს ბავშვებისთვის ბაღებში შეტანილი საკვები პროდუქტი.

ახლა ვერც მშობელი და ვერც ნებისმიერი პირი ვერ შეამოწმებს ლაბორატორიულად ბაღში შეტანილ საკვებ პროდუქტებს. არადა, ამ პროდუქტებმა შეიძლება ბავშვების ჯანმრთელობა დააზიანოს.

საქმე გვაქვს სისტემურ პრობლემასთან – არსებობს სასაკლაოები, რომლებსაც ვერ აკონტროლებს სურსათის უვნებლობის სამსახური. ისე შედის ბაღებში უხარისხო პროდუქტი, რომ ამის შესახებ წარმოდგენა არ აქვთ ბაგა ბაღების გაერთიანებებსა თუ მართვის სააგენტოებს.

გამოვიდეს ახლა მთავრობა სამტრედიელი კახა კალაძის თამადობით და გვითხრას, რა ჯანდაბა ხდება ბაღებში. ეს რაც დოკუმენტურად დადასტურებული გვაქვს და რაც ვიცით, მაგრამ ჯერ ვერ ვადასტურებთ.

ირაკლი ჩიქოვანი შს მინისტრად ინიშნება?

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, დავით ბაქრაძის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნას უშუალოდ ბიძინა ივანიშვილი ითხოვს. ბაქრაძეს ამერიკელებთან კარგი კავშირები აქვს. „ოცნების“ ლიდერს აშშ-ის გულის მოგება ისე სჭირდება, როგორც არასდროს.

რაც შეეხება ირაკლი ჩიქოვანს, ის, ეტყობა, გახარიას თვალში მაღალი ნდობით სარგებლობს, რადგან მას შს მინისტრის პოსტი შესთავაზა.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ირაკლი ჩიქოვანი ამ შეთავაზებას დათანხმდა და, თუ გახარია მთავრობის მეთაური გახდა, ჩიქოვანი ქვეყნის მთავარ პოლიციელად მოგვევლინება.

აღსანიშნავია, რომ აქამდე შს მინისტრის პოსტზე ალეკო ტაბატაძისა და კახა საბანაძის კანდიდატურები განიხილებოდა. საბანაძე შს მინისტრის მოადგილეა, ტაბატაძე – სუსის უფროსის.

როგორც ამბობენ, შს მინისტრის პოსტის დაკავება კობა ნარჩემაშვილსაც სურს. მას 2001-2003 წლებში ეს პოსტი უკვე ეკავა.

მას შემდეგ, რაც ჩიქოვანი შს მინისტრობას დათანხმდა, „ოცნება“ ზუგდიდის მერობის კანდიდატის ძებნას შეუდგა.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, მმართველმა პარტიამ, შესაძლოა, დომენტი, იმავე ზვიად სიჭინავას კანდიდატურა წარადგინოს. ამ უკანასკნელმა უკვე დაიწყო საარჩევნო კამპანია. თავიდან ის, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი, ისე მოიაზრებოდა, ახლა კი „ოცნება“ მას ისე უყურებს, როგორც საკუთარ კანდიდატს.

სიჭინავას თავისი ფულიც აქვს და ზუგდიდში ავტორიტეტითაც სარგებლობს. ამის მიუხედავად, მისი კანდიდატურის დასახელებას, შესაძლოა, სკანდალები მოჰყვეს.

ყველას კარგად გვახსოვს, რომ წლების წინ ის ნაციონალებისა და მიხეილ სააკაშვილის წყალობით გახდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი.

ამ ცოდვის „გაპრავებას“ მეოცნებენი იოლად შეძლებენ. სადაც ლევან მურუსიძე შერაცხეს ქართული თემიდის მამად, იქ, შეიძლება, სიჭინავა მიშელ პლატინიდ და კარლ ჰაინც რუმენიგედ წარმოაჩინონ.

ნაციონალებთან მის კავშირს აუცილებლად გაამართლებენ, მაგრამ მის მიერ აფხაზეთში დალეულ სადღეგრძელოს ვერაფრით გაამართლებენ.

რამდენიმე წლის წინ, როცა ჯერ კიდევ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი იყო, სიჭინავა აფხაზეთში ჩავიდა ვიტალი დარასელიას საფლავის მოსანახულებლად. დარასელია ოჩამჩირეშია დაკრძალული.

ოჩამჩირიდან სიჭინავა სოხუმში ჩავიდა, სადაც სუფრა გაუშალეს. ამ სუფრაზე მან აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ისე ადღეგრძელა. ამის ამსახველი ვიდეოკადრები რამდენჯერმე გამოქვეყნდა.

ამ ცოდვების გამო „ოცნებას“, შესაძლოა, ახალი კანდიდატის ძებნა დასჭირდეს. აფხაზების მადღეგრძელებლის გარდა, მერის მოვალეობის შემსრულებელ გიორგი შენგელიას კანდიდატურაც განიხილება.

მმართველ პარტიას მერობის კანდიდატი ჯერ არ ჰყავს შერჩეული, სამაგიეროდ, ცნობილია, თუ ვინ იქნება საარჩევნო შტაბის უფროსი.

„ოცნებასთან“ დაახლოებული წყაროს ცნობით, საარჩევნო შტაბს პოლიციის პოლკოვნიკი, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ვიცეგუბერნატორი ირაკლი ჯიქია უხელმძღვანელებს.

მანამდე მას სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილის პოსტი ეკავა.

„ივანიშვილი ხაზარაძეს ვერ გადაყლაპავს“

კახა კუკავა: „მამუკა ხაზარაძეს 40-50 მილიონის ინვესტირება პოლიტიკაში თავისუფლად შეუძლია“

ნონა ცაბაძე

მიმდინარეობს თუ არა ბიზნესის ტერორი საქართველოში, რატომ გადაიკვეთა ბიძინა ივანიშვილისა და მამუკა ხაზარაძის გზები, რით დასრულდება თიბისის ირგვლივ განვითარებული პროცესები? „ახალი თაობის“ – ამ და სხვა კითხვებს პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.

– ბატონო კახა, არაერთხელ თქმულა, რომ მიმდინარეობდა ბიზნესის ტერორი, თუმცა ეს ღიად და აშკარად არ ჩანდა. დღეს საკმაოდ აქტუალურია თიბისი ბანკის ირგვლივ განვითარებული პროცესები. რა ხდება?

– ეს არის ჩვეულებრივი რეიდერული მიტაცება და ივანიშვილმა საბოლოოდ გამოაჩინა თავისი სახე. რეიდერული მიტაცება არის მეთოდი, როდესაც იურიდიული და კრიმინალური მეთოდები ერთმანეთთან არის დაკავშირებული და, საბოლოო ჯამში, მესაკუთრეს აიძულებენ, ნომინალურ ფასად დათმოს თავისი საკუთრება.

ეს არის ის, რასაც აკეთებს დღეს ივანიშვილი. მას თავისი ქონება ზუსტად ამ გზით აქვს დაგროვებული, რაიმე კაპიტალური გამოგონება ან რაღაცა ბიზნესგარღვევა მას არ გაუკეთებია.

– რეკეტით?

– დიახ, რეკეტით, უფრო ზუსტად, რეიდერული მიტაცებით. მან უნდა იცოდეს, რომ, საბოლოო ჯამში, ის შეეხო ისეთ თემას, რომელიც სწორედ მას მოუბრუნდება, იმიტომ, რომ 90-იანი წლებიდან ხაზარაძის, ჭყონიასა და დანარჩენების ბიზნესი არის უკანონო კაპიტალის დაგროვება, მაგრამ, თუ ეს თემა გაიხსნება, ეს შეეხება ივანიშვილსაც.

რა თქმა უნდა, ხაზარაძეს თავისი კაპიტალი დაგროვებული აქვს არც სულ მთლად ლეგალური მეთოდებით, ძალიან კარგია, თუ ეს თემა გაიხსნება, მაგრამ მაშინ ჩვენ დავაყენებთ დღის წესრიგში, შევისწავლოთ, საიდან მოდის ივანიშვილის 8 მილიარდი? მან კი თავისი ფული დააგროვა კანონიერად?!

– არ დაუგროვებია?

– არა, არ დაუგროვებია! ჩვენ, როგორც მემარცხენე პარტია, მხარს დავუჭერთ იმას, რომ შევისწავლოთ მსხვილი კაპიტალის წარმოშობის კანონიერება და ყველა ის კაპიტალი, რომლებიც კანონიერად არ არის დაგროვებული, გადავრიცხოთ სახელმწიფო ბიუჯეტში.

– ამბობენ, რომ ამ დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ანაკლიის პორტი გახდა. ასეა? ამიტომ შეეჩხირათ ხაზარაძე თვალში?

– კი, ანაკლიის პორტი არის ერთ-ერთი მიზეზი. ეს პროექტი სააკაშვილის დროს იქნა დაწყებული, მერე კვირიკაშვილის დროს ამ პროექტს მოაჯდა ხაზარაძე. ეს არის მრავალასმილიონიანი პროექტი, ამ პროექტით დაინტერესებული არიან ევროპული და ამერიკული მსხვილი საფინანსო სტრუქტურები, მიმდინარეობს თანხების გადმორიცხვა და გადაწყვიტა უბრალოდ ბატონმა ივანიშვილმა, რომ ეს ამდენი მილიონი ხაზარაძისთვის ზედმეტია და ეს უჩა მამაცაშვილმა უნდა გააკეთოს.

ამიტომაც მთელი ამ პროცესის არსი არის ის, რომ ხაზარაძისაგან ითხოვენ, ჩააბარე ანაკლია, გადაეცი სახელმწიფოსო.

– და რატომ უნდა ჩააბაროს?

– მიუხედავად იმისა, რომ მე ძალიან ხშირად გამიკრიტიკებია მამუკა ხაზარაძე, ამ სიტუაციაში ის სწორად იქცევა. როგორც არ უნდა გვახსოვდეს ხაზარაძის ყველა უკეთურობა, დღეს უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოს მთავარი მტერი არის ბიძინა ივანიშვილი და არა – მამუკა ხაზარაძე. ამიტომაც ძალიან სწორად იქცევა ის, რომ არ აპირებს ამ ქონების გადაბარებას ბიძინა ივანიშვილისთვის.

– კვირიკაშვილიც სწორედ ანაკლიის პროექტსა და ხაზარაძესთან მეგობრობას გადააყოლა ივანიშვილმა?

– არა მხოლოდ ამას გადააყოლა. დღეს ზუსტად შემიძლია გითხრათ, რაც მოხდა: ივანიშვილს მიუტანეს ჩანაწერი, რომ ხაზარაძე დედას აგინებს, პლუს ანაკლიის პორტში მიდის მილიონები ევროპული სტრუქტურებიდან და ეს ყველაფერი ძალიან მსუყე ლუკმაა.

– ანუ ხაზარაძემ არ მოიხარა ქედი ივანიშვილის წინაშე ისე, როგორც დანარჩენებმა?

– მთლად ხალიჩას არ აკოცა ბოლომდე, თორემ ქედი როგორ არ მოიხარა, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურზე ხომ ვნახეთ, რომ სალომე ზურაბიშვილს უჭერდა მხარს.

მე ძალიან კარგად ვიცნობ ბიძინა ივანიშვილის გარემოცვას, ჩემი ყოფილი მეგობრები, რომლებიც გაერთიანებული ოპოზიციის წევრები იყვნენ, მახსოვს, როგორ გახდნენ ბიძინა ივანიშვილის გუნდის წევრები. მაპატიეთ, მაგრამ უკანალზე, შუბლსა და მუხლზე ერთად თუ არ აკოცეს, რომელიმე ერთი თუ გამოტოვეს, მაშინ ეს არ ითვლება. ბიძინა ივანიშვილს სჭირდება მონები, ყმა მას არ აწყობს.

– მამუკა ხაზარაძე ვერ მოერგო ამ როლს?

– მამუკა ხაზარაძეს უნდოდა, სახეც შეეინარჩუნებინა და ბიძინა ივანიშვილის ყმაც ყოფილიყო, მაგრამ არა, უნდა იყო მონა ბიძინა ივანიშვილის. სხვა ყველაფერი მისთვის არის მიუღებელი.

იგივე მისი კოალიცია რატომ დაიშალა? იმ 6 პარტიიდან არც ერთი იყო ივანიშვილის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი, მაგრამ ის ითხოვდა თითოეული მათგანისგან უსიტყვო მონობას.

ეს არის რაღაცა ახალი რეალობა ქართულ პოლიტიკაში. არც შევარდნაძე და არც მიხეილ სააკაშვილი და მით უმეტეს არც გამსახურდია ასეთ მონობასა და მუხლზე დგომას, რაღაცა აზიური ტიპის ყმობას თავიანთი პოლიტიკური პარტნიორებისგან არ ითხოვდნენ.

– ინფორმაცია გავრცელდა, რომ ხაზარაძე ნაციონალებს აფინანსებს და ეს ინფორმაცია მიუვიდა ივანიშვილს. ასეა?

– არა, ეს ჭორია. ჯერჯერობით ეს დადასტურებული არ არის. მამუკა ხაზარაძე ჯერჯერობით არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ აფინანსებს, უბრალოდ, შიში ჰქონდა ბიძინა ივანიშვილს, რომ შეიძლებოდა დაეფინანსებინა მას მომავალში რომელიმე პოლიტიკური ძალა.

ესეც არის ერთ-ერთი ფაქტორი. ასევე ის მეგობრობს კვირიკაშვილთან, მას აქვს ტელევიზია თავის საკუთრებაში და, აქედან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილს ჰქონდა შიშები.

– მამუკა ხაზარაძის მიმართ?

– მამუკა ხაზარაძემ რომ მოინდომოს დღეს ბიძინა ივანიშვილის დამხობა, მისთვის ეს ბევრად ადვილია, ვიდრე, პირიქით, ივანიშვილის მხრიდან ხაზარაძის განადგურება.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მამუკა ხაზარაძეს 40-50 მილიონის ინვესტირება პოლიტიკაში თავისუფლად შეუძლია, რაც ნიშნავს იმას, რომ ძლიერი მედია და ძლიერი ოპოზიციური სტრუქტურა გაკეთდება, რომელსაც ივანიშვილი ვეღარ გაუძლებს. ივანიშვილის მხრიდან ხაზარაძის განადგურება ბევრად უფრო რთული თემაა, იმიტომ, რომ ხაზარაძემ გამოუცხადა უარი ნებაყოფლობით დამორჩილებაზე. სხვათა შორის, ეს ძალიან საინტერესო თემაა წმინდა ბიზნესურადაც, იმიტომ, რომ თუ ხაზარაძე გადარჩა, ყველა ქართველი ბიზნესმენი დაინახავს, რომ ხელისუფლებასთან ომი უფრო მომგებიანია, ვიდრე ხელისუფლების მორჩილება. მე, პირადად, მგონია, რომ უბრალოდ ფიზიკურად შეუძლებელია, ივანიშვილი ხაზარაძეს ვერ შეეხება.

– რატომ? და რით დასრულდება ეს შერკინება?

– თიბისი ბანკი არის ყველაზე მსხვილი ბანკი, რომელსაც ჰყავს 100 ათასობით მოანაბრე და თიბისი ბანკის დესტაბილიზაცია ნიშნავს პირდაპირ სამოქალაქო ომს! ეს ნიშნავს, რომ ასიათასობით ადამიანი დაკარგავს თავის ანაბრებს და ეს იქნება ძალიან სერიოზული კატასტროფა.

– ეროვნულმა ბანკმა ულტიმატუმი წაუყენა ხაზარაძესა და ჯაფარიძეს, ორი თვის ვადა აქვთ მათ, რომ დატოვონ სამეთვალყურეო საბჭო. ეს არაფერს ნიშნავს?

– ეს აბსოლუტური ფორმალობაა. ხომ აღძრეს სისხლის სამართლის საქმე ხაზარაძის წინააღმდეგ, უკვე რამდენიმე თვე გავიდა მას შემდეგ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ვადა არის ორი თვე. დადოს ივანიშვილმა საბრალდებო დასკვნა, რატომ ვერ დებს?! მე შემიძლია გამოვთქვა ვარაუდი, რომ ვერ გაბედავს ივანიშვილი და ხაზარაძის მიმართ საბრალდებო დასკვნას ვერ დადებს.

– მაშინ რა ხდება?

– ივანიშვილი ბლეფობს. ეს არის სეკას თამაში. ივანიშვილი ეთამაშება ხაზარაძეს, ან გადაიხდი ფულს, ან მე დავდებ საბრალდებო დასკვნასო. მე ვამბობ, რომ ივანიშვილი ვერ დადებს საბრალდებო დასკვნას, იმიტომ, რომ ძალიან მძიმე იქნება ამის ფასი.

– ეს ხაზარაძემაც იცის?

– ხაზარაძეც ხვდება ამას. ის არ არის გაუცნობიერებელი პოლიტიკურ დეტალებში, ბევრი პოლიტიკური მეგობარი ჰყავს, არა მარტო კვირიკაშვილი, მისი მეგობარია ლევან გაჩეჩილაძე და ეს გუნდი, ანუ ის ხალხი, ვისაც პოლიტიკური გამოცდილება აქვს.

ბიძინა ივანიშვილმა კი თავისი თავი მოჭამა. შეიძლება, ეს ხუთი წლის წინ რომ გაეკეთებინა, გასვლოდა, მაგრამ დღეს, როდესაც ივანიშვილი არის ძალიან არაპოპულარული, ეს არ გაუვა.

აქ არ არის მარტო მამუკა ხაზარაძე. ეს არის ას მილიონს დამატებული თბილისის ვერა-ვაკის ელიტა და ამდენს ვერ გადაყლაპავს ივანიშვილი, დიდი ლუკმაა.

დღეს ის სიტუაციაა, რომ რაც უფრო მეტ შეცდომას დაუშვებს ივანიშვილი, ეს საქართველოსათვის უკეთესია. ივანიშვილი უნდა წავიდეს!

– ხაზარაძეს პოლიტიკურად ხომ არ გააააქტიურებს ამ საქციელით ივანიშვილი?

– ძალიანაც კარგი, თუ გააააქტიურებს. მე მივესალმები ამას. შესაძლებელია, სწორედ აქეთ უბიძგოს, რადგან ის თამაშის წესები, რომლითაც ივანიშვილი თამაშობდა და რომელიც 2012-ში, 13-ში და 14-ში მისაღები იყო, 2017-ში, 18-ში და 19-ში უკვე მისაღები აღარ არის.

რა ქონებას ფლობენ მოსამართლეები?

შაბათის „კურიერმა“ გაარკვია, რა ქონებას ფლობენ მოსამართლეები, რომლებსაც საქართველოს სახელით ათასობით ადამიანისთვის განაჩენი გამოაქვთ. ყველაზე მეტად გავლენიან მოსამართლეებს ვაკე და ვერა ხიბლავთ.

საგურამოში ერთ-ერთი ყველაზე მდიდრული სახლი ოფიციალურად მიხეილ ჩინჩალაძის დედაზეა გაფორმებული. თეთრი სახლი, მუქი ფერის სახურავით, 1500 კვადრატულ მეტრზეა გადაჭიმული. ორსართულიან სახლს რამდენიმე აივანი და ვერანდა აქვს. კურიერის აეროგადაღების კამერიდან კარგად ჩანს სახლის წინ გამწვანებული ეზო დეკორატიული მცენარეებითა და დიდი აუზით, რომელშიც წყალი ჯერ არ ასხია.

მოსამართლე ჩინჩალაძის ოჯახმა თავდაპირველად საგურამოში 1500 კვადრატული მეტრი მიწა იყიდა, მოგვიანებით კი გვერდით მდებარე 500 კვადრატულმეტრიანი ნაკვეთიც მიიერთა.

ჩინჩალაძის ოჯახის აპარტამენტებს რამდენიმემეტრიანი თეთრი გალავანი აქვს შემოვლებული, მაღალი ლითონის კარითა და განათებებით. გალავნის კუთხეში ერთი დამხმარე ნაგებობაა. მანქანით ეზოში შესული პირდაპირ ავტოფარეხში ხვდები. ბრიტანული არქიტექტურის გავლენით ჩინჩალაძის ოჯახმა სახლის მშენებლობა გასულ წელს დაასრულა.

საგურამოს სახლი მიხეილ ჩინჩალაძის ოჯახის ერთადერთი უძრავი ქონება არ არის. მოსამართლის მამიდის სახელზეა გაფორმებული ბინები ვერაზე, ჯანაშიას ქუჩაზე. ერთ კორპუსში სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ოჯახი ორი ბინას და სამ ავტოფარეხს ფლობს.

სანდო წყარო კურიერს უყვება, რომ ძვირადღირებული ბინები ჩინჩალაძის საკუთრებაა, თუმცა, ქონების დამალვის მიზნით, ის დედის და მამიდის სახელზეა რეგისტრირებული.

ერთ-ერთი კორპუსის ბოლო ორ სართულს ჩინჩალაძე ლევან მურუსიძესთან იყოფს. ბინა ნომერი 16 ჩინჩალაძის საკუთრებაა, 17 მურუსიძის, 18 კი ისევ ჩინჩალაძის. სანდრო გირგვლიანის საქმის მოსამართლე, ლევან მურუსიძე, ქონებას მხოლოდ ვერაზე არ ფლობს. 1000 კვადრატულ მეტრ მიწაზე ის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვში ორსართულიან სახლს იშენებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე და იუსტიციის საბჭოს ყოფილი წევრი, მერაბ გაბინაშვილი, დუშეთის მუნიციპალიტეტში, წითელსოფელში, არაგვის პირას მდებარე აგარაკის მფლობელია. საცხოვრებელი სახლი 3-სართულიანია. აივნები და ხედი მდინარე არაგვის ხეობაზე იშლება. მთებით გარშემორტყმულ სივრცეში თეთრი სახლი გამორჩეულია. წითელუბანი პრესტიჟულ სააგარაკე დასახლებად ითვლება.

მოსამართლე გაბინაშვილს კიდევ ერთი საცხოვრებელი აქვს თბილისშიც. ვაკეში, თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე ბინა, რომელიც 130 კვადრატულია, 2011 წელს 75 ათას დოლარად შეიძინა და 100%-იანი წილის მფლობელია.

იუსტიციის საბჭოს მოქმედი წევრსა და მოსამართლე რევაზ ნადარაიას ორსართულიანი სახლი აქვს სოფელ დიღომში. ნადარაიას აპარტამენტები სხვა მოსამართლეებისგან სრულიად განსხვავებულია. თეთრი სახლს დიდი ვიტრაჟები აქვს, ფასადი ქართული აგურით არის მოპირკეთებული. ნახაზებიდან ჩანს, რომ სახლს აქვს რამდენიმე საძინებელი, სამზარეულო და სასტუმრო ოთახი კი პირველ სართულზეა, რომელიც მეორე სართულს შიდა კიბით უკავშირდება. მოსამართლე ნადარაიას სახლის ნულოვან სართულზე აქვს ავტოფარეხი, მარანი და სათავსო.

სახლის აშენება და რემონტი, რომელიც ჯამში 330 კვადრატულია, ორი წლის წინ 100 ათასი დოლარი დაუჯდა. მიწის ნაკვეთი კი მოსამართლემ რამდენიმე წლით ადრე 32 700 დოლარად იყიდა.

მოსამართლე და იუსტიციის საბჭოს მოქმედი წევრი, ვასილ მშვენიერაძე, კერძო საცხოვრებელს ლისის მწვანე უბანში იშენებს. პირველ სართულზე იქნება მისაღები ოთახი, სამზარეულო და სველი წერტილებით, მეორე სართულზე კი – რამდენიმე საძინებელი განთავსდება. მოსამართლე მშვენიერაძემ 400 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი 2013 წელს 37 ათას ლარად იყიდა.

დეკლარაციის მიხედვით, მშვენიერაძეს ასევე აქვს თბილისის ცენტრში, ვაკეში ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე ორი ბინა – 45 და 92 კვადრატული მეტრის ფართობის და ბინა საბურთალოზე, რომელიც მისი ცოლის სახელზე ირიცხება და მასში რამდენიმე წლის წინ 80 ათასი დოლარი გადაიხადეს.

ვასილ მშვენიერაძის გარდა, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე გააკეთა არჩევანი მოსამართლემ და იუსტიციის საბჭოს ყოფილმა წევრმა, თამარ ალანიამაც. მან 3 წლის წინ სოფელ თხინვალაში 1600 კვადრატული მიწის ნაკვეთი 50 ათას დოლარად იყიდა.

დიღომში ქართველი მილიონერების უბანში ცხოვრობს რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამია ფხაკაძე. თეთრად შეღებილი წითელსახურავიანი საცხოვრებლის ფასადი ხით არის მოპირკეთებული. ფანჯრებს კი მეტალის გისოსები იცავს. სოფელ დიღომში მათ 400 კვადრატული 2011 წელს 12 ათას დოლარად იყიდეს. სახლი კი ერთი წლის შემდეგ ააშენეს, რომელიც 87 ათასი ლარი დაუჯდათ.

მოსამართლე მამია ფხაკაძის ოჯახის საკუთრებაა თბილისში, საბურთალოზე მდებარე ორი საცხოვრებელი ბინაც – 116 და 58 კვადრატული მეტრის ფართობითა და 3 წლის წინ ბაკურიანში 30 ათას დოლარად ნაყიდი საცხოვრებელი.

მაღალჩინოსან მოსამართლეებს შორის ყველაზე დიდი მიწის ნაკვეთი დიმიტრი გვრიტიშვილს აქვს. მხოლოდ ეზო ბულაჩაურში 3000 კვადრატული მეტრია. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესა და იუსტიციის საბჭოს წევრს სოფელ ზემო ბულაჩაურში მდებარე ორსართულიანი სახლი მამამ ცოტა ხნის წინ გადაუფორმა.

მოსამართლეების მდიდრული სახლების სიაში კი სააპელაციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე ვალერი ცერცვაძე ლიდერობს. მისი სახლი დიღმის დასახლებაში მდებარეობს. ბრიტანული არქიტექტურის გავლენით აშენებული ორსართულიანი სახლი წითელი სახურავით უბანში გამორჩეულია.

„რუსთავი 2“

რას აპირებს პუტინი კავკასიაში?

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს საზღვრებთან ახალი კონფლიქტური სცენარი თამაშდება

კავკასიის რეგიონი გეოპოლიტიკურად სულ უფრო მეტ წონას იძენს. ეს ართულებს მდგომარეობას საქართველოში და მის გარშემო. დიდ პოლიტიკურ თამაშებსა და მთავარი კონკურენტების შეჯახებას თან ახლავს ისეთი მოვლენები, რომლებიც, ერთი შეხედვით, ყოფით, ადმინისტრაციულ ხასიათს ატარებს.

ასეთია, მაგალითად, ადმინისტრაციული საზღვრების დადგენა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში. არ არის გამორიცხული, რომ ეს თემა კრემლმა საგანგებოდ შემოაგდო ისედაც ცხელ წერტილში. დღეს ეს საკითხი საზოგადოების აზვირთებას დაღესტანში იწვევს. წლის ბოლომდე დაღესტანმა სასაზღვრო შეთანხმება უნდა გააფორმოს ჩეჩნეთთან.

მანამდე გაუთავებელი აქციები იმართებოდა ინგუშეთში. 2018 წლის ბოლოს მაგასში მიტინგებზე შეკრებილი ინგუშები ჩეჩნეთისთვის ინგუშეთის მიწების უსამართლოდ გადაცემას ეწინააღმდეგებოდნენ. ისინი მოითხოვდნენ რესპუბლიკის ლიდერ იუნუს-ბეკ ევკუროვის გადადგომასა და გადაწყვეტილების გადასინჯვას. მიტინგებზე ანტირუსული და ინგუშეთის საქართველოსთან შეერთების მოწოდებებიც კი გაისმა.

დაღესტანსა და ჩეჩნეთს შორის საზღვრის დემარკაციის საკითხზე კომისია შექმნილია. ის ისე უჩუმრად და დაფარულად მუშაობს, რომ დაღესტანში ხალხს ინგუშების მწარე გაკვეთილების გამეორების განცდა გაუჩნდა.

ამის გამო მახაჩყალაში 30-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია და დამოუკიდებელი ჟურნალისტები მრგვალი მაგიდის გარშემო დაირაზმნენ. მათ მიმართვები გაუგზავნეს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინსა და დაღესტნის რესპუბლიკის მეთაურ ვლადიმერ ვასილიევს. მათი მთავარი მოთხოვნა ამ პროცესის გამჭვირვალობაა.

მიმართვაზე ხელის მომწერების თქმით, სასაზღვრო შემთანხმებელი კომისიის სხდომები დახურული და გასაიდუმლოებულია. მათ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და თავისუფალ მედიას არ ასწრებენ. კონსტრუქციული ხალხი განიცდის ზეწოლას ხელისუფლებისაგან, ისევე, როგორც ჩინოსნები და მუნიციპალიტეტების მოხელეები, რომლებსაც უკრძალავენ კომენტარების კეთებას ამ თემაზე.

ავტორები მოითხოვენ კომისიის მუშაობის გრაფიკის გამოცხადებას, ასევე ექსპერტების, არასამთავრობო სექტორისა და მედიის დაშვებას სხდომებზე.

არსებობს ეჭვი, რომ დაღესტნის ისტორიულ მიწებს ჩეჩნეთს მიაკუთვნებენ.

ინგუშეთის მაგალითი ადასტურებს, რომ ამგვარი სცენარი მოულოდნელი არ უნდა იყოს.

დაღესტნის საზოგადოება აღნიშნავს, რომ საზოგადოებისგან დაფარულად ადგენდა საზღვარს ინგუშეთის ლიდერი ევკუროვიც, რომელიც მოგვიანებით თავად ალაპარაკდა დიალოგის აუცილებლობაზე.

ევკუროვი მზადაა, დაღესტანს სასაზღვრო საკითხებზე რჩევებიც მისცეს.

რა სახისაა ეს რჩევები, გაურკვეველია. ინგუშეთის ლიდერი აცხადებს, რომ მომართვის შემთხვევაში ინგუში ძალოვნები დაღესტნელ კოლეგებს რეკომენდაციებს გაუზიარებენ.

ცნობილია, რომ საერო ხელისუფლებისგან გაწბილებულმა ინგუშებმა შარიათის სასამართლოს მიმართეს. მათ უნდოდათ გაერკვიათ, გაყალბდა თუ არა სასაზღვრო საკითხზე კენჭისყრა ინგუშეთის პარლამენტში. ისინი მომხდარში დეპუტატებსაც ადანაშაულებდნენ.

შარიათის სასამართლომ განჩინება ვერ გამოიტანა დეპუტატების ნაწილის გამოუცხადებლობის გამო.

ორივე შემთხვევაში საუბარია ჩეჩნეთის უკანონო გამსხვილებაზე, იმაზე, რომ ჩეჩნეთის ლიდერი რამზან კადიროვი ყველანაირი სამართლის ჩარჩოებიდან გადის, შეშფოთებას ევროპელი ანალიტიკოსებიც გამოთქვამენ.

მათი პროგნოზით, თუ პუტინს ძალოვნები განუდგებიან, იგი მათ დიდი ძალაუფლების მქონე კადიროვსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ შეიარაღებულ დაჯგუფებას დაუპირისპირებს.

ირაკლი ყიფიანი: „უმუშევრობის კომპენსაცია ეკონომიკას გაანადგურებს“

ლელა მდივანი

საქართველოში, შესაძლოა, უმუშევრობის კომპენსაცია დაწესდეს. ეს ინიციატივა დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულიამ გააჟღერა.

– უშუალოდ უმუშევრობის კომპენსაციასთან დაკავშირებული კონკრეტული ჩანაწერი, რომლის შესრულება 2021 წლამდეა სავალდებულო, არ არსებობს და, შესაბამისად, ინიციატივა უმუშევრობის კომპენსაციასთან დაკავშირებით ასოცირების ხელშეკრულებასთან კავშირში არ არის.

ხელშეკრულებაში არის კონკრეტული მუხლი, რომელიც ანალოგიური საკითხების მიმართ დამოკიდებულებაზე საუბრობს, რომლის ქვეშაც შეიძლება მოიაზრო, რომ ამ ტიპის პრობლემების მოგვარებაში გარკვეული ევროპული პრაქტიკა იყოს გათვალისწინებული, თუმცა ეს ვალდებულება არ არის.

ჩემი ინიციატივა გამომდინარეობდა ზოგადად ეკონომიკური მდგომარეობიდან და სამომავლო პოლიტიკიდან და არაფერ კავშირში არ იყო ევროკავშირთან არსებულ ვალდებულებებთან, – განაცხადა რომან კაკულიამ.

რა გავლენა ექნება უმუშევრობის კომპენსაციების დაწესებას ეკონომიკურ ვითარებაზე, როგორ აისახება ეს პროცესი სოციალურად დაუცველ პირებზე და რა არის ერთადერთი სწორი სოციალური პოლიტიკა? – ამაზე „ახალ თაობასთან“ უფრო ვრცლად ეკონომისტი ირაკლი ყიფიანი საუბრობს.

– ბატონო ირაკლი, შეძლებს მთავრობა ამ ინიციატივის განხორციელებას და რამდენად სწორი ნაბიჯი იქნება ეს ეკონომიკისთვის?

– ეკონომიკისთვის არ არის სწორი მიდგომა, რომ უმუშევრობის კომპენსაცია საერთოდ არსებობდეს ქვეყანაში. ძალიან პრაგმატულადაც რომ შევხედოთ, 1 მილიონი ადამიანი არის თვითდასაქმებული 2 მილიონი სამუშაო ძალით და 800.000 ადამიანი არის დასაქმებული კერძო სექტორში და სახელმწიფო სექტორში ერთდროულად.

ფაქტობრივად, ვამბობთ, რომ 1 მილიონი ადამიანისთვის და ამასთან იმ უმუშევარი ძალისთვის შემოვიდეს რაღაც ტიპის უმუშევრობის კომპენსაცია, ეს იქნება ეკონომიკისთვის გამანადგურებელი წნეხი და დარტყმა.

თუ რაიმე ტიპის დახმარება ადამიანს სჭირდება, ეს არის სოციალური ტიპის დახმარებები და ამ დროს უნდა ეხმარებოდეს სახელმწიფო ადამიანს და არა ნებისმიერ დროს.

დავუშვათ, ავიღეთ ერთ შეძლებულ ოჯახში დასაქმებული შვილი და ამ ოჯახის შვილმა დაკარგა სამსახური. სახელმწიფო ჩვენ მიერ გადახდილი გადასახადებით უნდა უფინანსებდეს თუ არა ამ ბავშვს უმუშევრობის კომპენსაციას. აღბათ არა, იმიტომ რომ ფინანსური საჭიროებები ძირითადად არ უდგათ, თან იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში დაახლოებით არის 1 მილიონი ადამიანი, რომელიც სახელმწიფოს სოციალურ დახმარებას სთხოვს. 500 ათასი იღებს დახმარებას. შესაბამისად, ეს არამიზნობრივი ხარჯვა იქნება ბიუჯეტიდან.

– არიან ოჯახები, რომლებიც არ ფინანსდებიან სახელმწიფოს მიერ და თვიდან თვემდე მხოლოდ ხელფასით გააქვთ თავი. სახელმწიფოს ინტერესშიც ხომ სწორედ ის შედის, რომ უმუშევრები ისევ გადახდისუნარიანები იყვნენ, დაუბრუნდნენ შრომის ბაზარს და ისევ შეჰქონდეთ ბიუჯეტში თანხა, რაც სახელმწიფოსთვის ბევრად უფრო მომგებიანია?

– სახელმწიფოს ინტერესში ის შედის, რომ უფრო მეტი ადამიანი იყოს დასაქმებული და უვლიდეს თავის თავს სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. ეგ ნაწილი შედის სახელმწიფოს ინტერესში.

– ანუ შრომის ბაზარზე უმუშევრების დაბრუნება სახელმწიფოს პრეროგატივა არ არის?

– კერძო სექტორის პრეროგატივაა და დიახ, ამასთან სახელმწიფოს პრეროგატივაცაა, თუმცა უმუშევრობის კომპენსაცია ამასთან რამდენად არის კავშირში, გაუგებარია. ვთქვათ, უმუშევრობის კომპენსაცია რომ მოგცე, შრომის ბაზარზე უფრო მალე დაბრუნდები?! პირიქით, შეიძლება, სულ აღარ მოუნდეთ მუშაობა.

– ეს კომპენსაცია ხომ ახალი სამსახურის პოვნამდე ექნებათ და იქამდე ხომ სჭირდებათ არსებობა?

– არა, გაუგებარია, რატომ უნდა მიეცეთ მათ კომპენსაცია ბიუჯეტიდან. აი, დავუშვათ, გეუბნებით, რომ ქვეყანაში დასაქმებულია 800.000 ადამიანი და აქედან 100.000 იყოს შეძლებული ოჯახის შვილი ან არ ჰქონდეთ დასაქმების პრობლემა და არ სჭირდებოდეთ დამატებითი შემოსავალი. მე გეკითხებით, ამ ადამიანებს უნდა მივცეთ ჩვენ უმუშევრობის კომპენსაცია თუ 500.000 ადამიანს, რომელიც სოციალურად დაუცველია, უნდა მივცეთ დახმარება? იმათ უნდა მივცეთ, ვისაც შია, ხომ?!

– გასაგებია, მაგრამ სოციალური დახმარება ხომ მუდმივია, ეს კი დროებითი ანაზღაურება უნდა იყოს.

– დროებითი არის თუ არა, ეს დროებითი ფული ხომ აკლდება ვიღაც ღატაკ ადამიანს, რომელზე მიცემაც შეგვეძლო და არ მივეცით. ამ ნაწილში არის არასწორი მოტივაცია. სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის ამოცანა ის უნდა იყოს, რომ სოციალურად დაუცველთა რაოდენობა უნდა მცირდებოდეს ქვეყანაში სწორი საგადასახადო პოლიტიკით, სწორი ეკონომიკური პროგნოზირებადი პოლიტიკით, რომ დასაქმების სიჩქარეები იზრდებოდეს.

– ბიუჯეტში ისე ვერ გადანაწილდება ფინანსები, რომ სოციალურად დაუცველებს არ შეეხოთ კომპენსაციის დაწესებით გამოწვეული ცვლილება?

– არა, ორივე მხარეს რომ მიეცეთ, ეს არ არის სწორი მიდგომა. ერთს როცა აძლევ, აკლებ მეორეს.

– და საბოლოოდ დაუსაქმებელიც ხომ გაღატაკდება, თუ რაღაც დროის განმავლობაში სამსახურს ვერ იშოვის და არც არანაირი საარსებო წყარო ექნება.

– საბოლოოდ თუ გაღატაკდება, ვირჩევ სოციალურ დახმარებას ანუ თავიდანვე ვთქვათ, რატომ მახდევინებ იმაზე მეტს, ვიდრე შეიძლება, ვისაც შია ქვეყანაში, იმისთვის მაკლდებოდეს ეს ფული და ჩვენ ხომ ვიცით, რომ ადამიანებს თუნდაც ჯანდაცვაში დღესდღეობით ჯიბიდან გადახდილი ხარჯები იმდენად მაღალი აქვთ, რომ განიცდიან კატასტროფულ დანახარჯებს, ანუ მათი შემოსავლების 40%-ზე მეტს, თითქმის ნახევარს ხარჯავენ ჯანდაცვაზე თვითონვე.

ეს ადამიანები არიან სოციალურად დაუცველები და რა ვქნათ, 5.000 ლარი რომ ჰქონდა ხელფასი და 3 თვე სამსახური დაკარგა, იმას მივცეთ უმუშევრობის კომპენსაცია და იმ ადამიანს, რომელსაც წამალი არ ექნებოდა და ხვალ მოკვდება, ამას არ მივცეთ?! თუ ვამბობთ, რომ ორივეს მივცეთ, მაშინ იმას უნდა მივცეთ, ვისაც უჭირს.

– გამოდის, რომ სახელმწიფოს არ აქვს ამდენი რესურსი.

– არც რესურსი აქვს და არც მოტივაცია უნდა ჰქონდეს, რადგან არასწორი მიდგომაა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე.

– სხვა ქვეყნებში ხომ გასცემენ ასეთ დროს კომპენსაციებს?

– ევროპის ქვეყნები არის სოციალისტურად ორიენტირებული ქვეყნები და სადაც მასობრივად არიან სოციალისტები, მსგავსი ტიპის სიგიჟეები არის ძალიან ცნობილი. მათთან მინიმალური ხელფასის მოთხოვნებიც არსებობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველომ ეს პრაქტიკა, რაც ეკონომიკისთვის არის არასწორი, გაატაროს.

– ანუ თქვენ იზიარებთ ფინანსთა მინისტრის განცხადებას, რომელიც ამ ეტაპზე უმუშევრობის კომპენსაციის დაწესების საჭიროებას ვერ ხედავს.

– კი, ფინანსთა მინისტრმა თუ ეგ თქვა, ვიზიარებ ნამდვილად.

– ჯანდაცვის მინისტრი მიიჩნევს, რომ უნდა შეიქმნას ისეთი მოდელი, რომელიც ყველაზე ოპტიმალური და რეალისტური იქნება. როგორი წარმოგიდგენიათ ასეთი მოდელი?

– ნებისმიერი დახმარება სახელმწიფოს მხრიდან, რომელსაც შეიძლება, კომპენსაცია ერქვას, უნდა გაერთიანდეს სოციალურ პოლიტიკაში და ერთი სოციალური დახმარების სახით უნდა ეძლეოდეს იმ ადამიანებს, რომელთა საჭიროების შეფარდება მათ შემოსავლებთან არის კრიტიკულ ზღვარზე.

ეს არის ერთადერთი სწორი სოციალური პოლიტიკა, იმიტომ, რომ თუ არიან სიღატაკეში, მაშინ სოციალური პოლიტიკის ნაწილი უნდა გახდეს ეს და არანაირი სხვა დამატებითი ფონდები და უმუშევრების დახმარების ასოციაციები.

პრემიერი „თიბისის“ საქმეზე: „ყველას მოვუწოდებ, თავი შეიკავონ პოლიტიკური სპეკულაციებისგან“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე ყველას მოუწოდებს, „თიბისი ბანკთან“ დაკავშირებით პოლიტიკური სპეკულაციებისგან თავი შეიკავონ. როგორც მთავრობის მეთაურმა ქართველ ჟურნალისტებს მიუნხენში ამ თემაზე დასმული კითხვის საპასუხოდ განუცხადა, ეროვნულმა ბანკმა, როგორც მარეგულირებელმა, მიიღო გადაწყვეტილება და, თუ ვინმეს ამ საკითხზე პრეტენზიები აქვს, სწორედ შინაარსობრივი არგუმენტები უნდა დასახელდეს.

– სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ მოვისმინეთ პოლიტიკური სპეკულაციები ამ საკითხთან დაკავშირებით. „თიბისი ბანკი“ არის სისტემური მნიშვნელობის, ძლიერი ფინანსური ორგანიზაცია. რა თქმა უნდა, ის, რომ „თიბისი ბანკი“ წარმოდგენილია ლონდონის საფონდო ბირჟაზე, ჩვენი ეკონომიკის წარმატებაა და ეს ყველას კარგად აქვს გააზრებული. ეროვნულმა ბანკმა, როგორც რეგულატორმა, მიიღო გადაწყვეტილება და, ბუნებრივია, მე მის შინაარსობრივ შეფასებას ვერ გავაკეთებ, მაგრამ ვიცი ერთი რამ – ეროვნული ბანკი ყოველთვის მოქმედებს ძალიან მაღალი პროფესიული სტანდარტების დაცვით და ეს არის ყველა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის პოზიცია. „თიბისი ბანკი“ არის ძლიერი, სისტემური ბანკი და ერთ-ერთი ყველაზე წამყვანი ფინანსური ინსტიტუტი არა მხოლოდ ფინანსური სექტორისთვის, არამედ ზოგადად ჩვენი ეროვნული ეკონომიკისთვის. აქედან გამომდინარე, მსურს, კიდევ ერთხელ მოვუწოდო ყველას, თავი შეიკავონ პოლიტიკური სპეკულაციებისგან. ეს არის ძალიან ჩარჩოში მოქცეული პროფესიული მიდგომებიდან შესაფასებელი სიტუაცია და მას პოლიტიკასთან არანაირი კავშირი არ აქვს. მარეგულირებელმა მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება და, თუ ვინმეს აქვს პრეტენზია ამ საკითხზე, სწორედ შინაარსობრივი არგუმენტები უნდა ისმოდეს და არა პოლიტიკური სპეკულაციები. ეს ნამდვილად არ წაადგება საქმეს, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მამუკა ბახტაძის შეფასებით, ასევე ძალიან ცუდი სპეკულაციაა აღნიშნული თემის დაკავშირება ანაკლიის პორტის მშენებლობასთან.

– მინდა, ყველას შევახსენო, რომ სწორედ ჩვენი პოლიტიკური გუნდი გახლავთ ამ უმნიშვნელოვანესი იდეის ინიციატორი და ჩვენ, როგორც მთავრობა, ყველა ფინანსურ ინსტიტუტთან აქტიურად ვსაუბრობთ, რომ რაც შეიძლება დროულად დაიწყოს საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებისგან ამ უმნიშვნელოვანესი პროექტის დაფინანსება. ეს არის სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტი ჩვენი ქვეყნისთვის და, ამავე დროს, რეგიონისთვის. ჩვენ შევძელით, რომ ძალიან მნიშვნელოვანი და ინტენსიური მოლაპარაკებების შედეგად ყველა წამყვანმა ფინანსურმა ინსტიტუტმა გაითვალისწინა ანაკლია და მიმდინარეობს მისი დაფინანსების განხილვა. შესაბამისად, ამ საკითხის პოლიტიკურ სპეკულაციებში გადატანა, რა თქმა უნდა, სრული უპასუხისმგებლობაა. საქართველოს სჭირდება ღრმაწყლოვანი პორტი და აუცილებლად ექნება ის, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

იაგო კაჭკაჭიშვილი: „ხელისუფლების შესაცვლელად მასობრივი აქციები აუცილებელი არ არის“

იაგო ნაცვლიშვილი

იუსტიციის სამინისტროს დაკვეთით ჩატარებული კვლევის მიხედვით, მართლმსაჯულების რეფორმას გამოკითხული რესპონდენტების 51% დადებითად აფასებს. კვლევა სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდშია ჩატარებული, ანუ მაშინ, როდესაც სასამართლოში ასეთი სკანდალი ჯერ არ იყო აგორებული და იუსტიციის საბჭოს უზენაესის მოსამართლეობის კანდიდატები პარლამენტისთვის წარდგენილი არ ჰყავდა.

რისი თქმა სურდა იუსტიციის სამინისტროს ამ კვლევით, რა პროცესებია მოსალოდნელი ქვეყანაში შექმნილი მძიმე ფონიდან გამომდინარე და უნდა ველოდოთ თუ არა მასშტაბურ აქციებს გაზაფხულზე? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სოციოლოგი, თსუ-ის პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი საუბრობს.

– როგორი სახის კვლევა ჩატარდა მართლმსაჯულების რეფორმებზე, რომლის პრეზენტაციაც იუსტიციის მინისტრმა წარმოგვიდგინა და გვითხრა, რომ საზოგადოების 51% მიიჩნევს, რომ რეფორმები სწორი მიმართულებით მიმდინარეობს?

– არ მაქვს დეტალური ინფორმაცია ამ კვლევის შესახებ. არც ჩამტარებელი ორგანიზაცია ვიცი, მხოლოდ ის ვიცი, რომ საფრანგეთის რომელიღაცა ორგანიზაციამ დააფინანსა, მაგრამ არ ვიცი, რომელმა ადგილობრივმა ორგანიზაციამ ჩაატარა, რა მეთოდოლოგიით, როგორი იყო ამ კვლევის სამზარეულო. ეს დეტალები ჩემთვის სრულიად უცნობია, ამიტომ კომენტარი გამიჭირდება.

– რისი ჩვენება უნდოდა იუსტიციის სამინისტროს ამით?

– ალბათ იმის, რომ სასამართლოს მიმართ არის ნდობა. ამაზე იყო ლაპარაკი. თუ სწორად მახსოვს მონაცემები, აჩვენეს, რომ 51% იყო სასამართლოს მიმართ გამოხატული ნდობა. ამ მონაცემს შეგვიძლია შევხედოთ როგორც პოზიტიურად, ისე ნეგატიურად. შეგიძლია, ორივე თვალსაზრისით წავიკითხოთ. შეგიძლია თქვა, რომ გამოკითხული მოქალაქეების ყოველი მეორე ადამიანი ამა თუ იმ დონეზე ნდობას უცხადებს მთლიანად ან მეტ-ნაკლებად, მაგრამ, ამავე დროს, შეგვიძლია წავიკითხოთ ნეგატიურადაც – ყოველი მეორე გამოკითხული სასამართლოს მიმართ ნდობას არ აფიქსირებს.

– იმ ფონზე, როგორი მკვეთრად ნეგატიური ფონიც სასამართლოს მიმართ არის, რამდენად სანდოა ეს კვლევა?

– მკვეთრად ნეგატიური ფონი სასამართლოს მიმართ არის სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებში, როგორებიცაა: სამოქალაქო საზოგადოება, ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური პარტიები და ა.შ. ჩვენ არ ვიცით, როგორი განწყობებია საზოგადოებაში. არის თუ არა მოსახლეობაში მკვეთრად გამოკვეთილი ნეგატიური ფონი, ეს სწორედ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებმა უნდა აჩვენოს. ასე რომ, საზოგადოებაზე განზოგადებას ვერ გააკეთებ მხოლოდ გარკვეული დაინტერესებული ჯგუფების ნდობა-უნდობლობის საფუძველზე. ეს უნდა აჩვენოს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებმა.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, როდესაც ყოველი მეორე გამოკითხული არ ამბობს, რომ სასამართლოს ენდობა, თუნდაც იმ მონაცემით, რომელიც გამოქვეყნდა, არა მგონია, რომ სასამართლო თავს უნდა იწონებდეს ნდობის მაღალი ხარისხით.

– საკმაოდ მძიმე ფონია ქვეყანაში. ჯერ იყო სასამართლოს თემის მუდმივად დღის წესრიგში ყოფნა, წამოვიდა თიბისის საქმე, ვნახეთ ლიეჟის მოვლენები, ვხედავთ ოპოზიციის ერთობას საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით. საით მიდის ხელისუფლება და რას უნდა ველოდოთ გაზაფხულზე?

– ხელისუფლებამ ძალიან სერიოზულად შეუტია მნიშვნელოვან ინსტიტუტებს, ახლა უკვე საბანკო სექტორსაც. ხელისუფლებაზე პირდაპირ ვერ ვიტყვით ამ შემთხვევაში, მაგრამ ასე ჩანს ეს ამბავი და ხელისუფლების პასუხისმგებლობას ხედავენ ამ ამბავში გარკვეული ჯგუფები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და ა.შ.

– ყოველ შემთხვევაში, პასუხგაუცემელი ბევრი კითხვაა.

– დიახ. რასაკვირველია, პასუხგაუცემელი კითხვები არსებობს. ეს ეხება ბევრ საკითხს. ეს ეხება გამოუძიებელ მკვლელობებს. მაჩალიკაშვილის საქმეს, სარალიძის საქმეს. ახლა უკვე ყველაზე მსხვილი კერძო ბანკის რეპუტაციაზე ხდება შეტევა. დაგროვდა ეს საკითხები. იქ არის მამალაძის საქმე – ციანიდის საქმე და ა.შ.

ყველა ეს საქმე, ძალიან მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხი, ჰაერში კიდია, იმ თვალსაზრისით, რომ მათზე დასაბუთებული პასუხები არ არის. მანამდე კიდევ გველოდება მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატის შუალედური არჩევნები.

მთავარი ორიენტირი მაინც 2020 წლის არჩევნებია. თუ პასუხგაუცემელი შეკითხვები დაგროვდა და მათზე კითხვები არ იქნება გაცემული, რასაკვირველია, ის არ იმუშავებს ხელისუფლების სასარგებლოდ. პირიქით, ეს იქნება მისი საზიანო.

– ხომ არ უნდა ველოდოთ საპროტესტო აქციებსაც? აანონსებს მათ ნაციონალური მოძრაობა. რა მასშტაბებია მოსალოდნელი?

– ნაციონალური მოძრაობა ყოველთვის მიმართავს საპროტესტო აქციებს და ჩვენ ვნახეთ, რომ მის ორგანიზებულ საპროტესტო აქციებს მასობრივი მღელვარება არ გამოუწვევია. თუმცა, აქ არსებობს ერთი საკითხი. ეს არის საარჩევნო სისტემის ტრანსფორმაციის მოთხოვნა პრაქტიკულად ყველა ოპოზიციური პარტიის მიერ. კერძოდ, პროპორციულ სისტემაზე გადასვლა უკვე 2020 წლიდანვე და არა 2024 წლიდან.

ეს მოთხოვნა მთელ ოპოზიციურ საზოგადოებას აერთიანებს. რამდენად ძლიერი სტიმულატორი აღმოჩნდება მასობრივი გამოსვლებისთვის, რთული სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ეს საკითხი ნამდვილად არის მთლიანი ოპოზიციური სექტორისთვის გამაერთიანებელი. შესაბამისად, ვნახოთ, მოვლენების როგორი განვითარება იქნება.

არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს შეიძლება გახდეს მასობრივი გამოსვლების წყარო, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, გარკვეული მღელვარების წყარო მაინც იქნება.

მოსახლეობა ბევრმა რამემ შეიძლება გამოიყვანოს გარეთ, გააჩნია მასშტაბს. მასშტაბურ პროტესტს რამდენად გამოიწვევს საარჩევნო გარემოს ცვლილება, არ ვიცი. თუმცა, გარეთ გამოსვლა და მასობრივი პროტესტი სრულად არ არის აუცილებელი იმისთვის, რომ საარჩევნო ყუთთან მოსახლეობამ ისევ ხელისუფლებას დაუჭიროს მხარი. შეიძლება, გარეთ არ გამოვიდეთ, მაგრამ აღარ ავირჩიოთ მმართველი პოლიტიკური ძალა.

ასე რომ, ასე პირდაპირ ბმას მასობრივ გამოსვლებსა და არჩევნებში ხელისუფლების მხარდაჭერას შორის ვერ ვხედავ. მასობრივი საპროტესტო აქციები საქართველოს პოლიტიკური კულტურის შემადგენელი ნაწილი იყო. ეს ინსტრუმენტი დღეს რაღაცნაირად გადაიხედა.

– აქ საუბარი იმაზეა, რომ ყველა ხელისუფლება აქცევს ყურადღებას აქციებს იმისთვის, რომ წამოვიდეს რაღაც კომპრომისებზე.

– აქციები ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ თქვენ კითხვა დამისვით მასობრივ აქციებზე. მასობრივი აქციები სულაც არ არის საჭირო იმისთვის, რომ ხელისუფლება შეიცვალოს. შეიძლება, წერტილოვანი გამოსვლები იყოს, შეიძლება, მეტ-ნაკლებად მასშტაბური გამოსვლები იყოს, რაც, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია. ეს ყოველთვის მოქმედებს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებაზე.

ის რაღაცნაირად მონიტორინგის ფუნქციას ასრულებს ხელისუფლების აქტივობასა და ქმედებაზე. თუმცა, ვიმეორებ არ არის აუცილებელი, რომ ეს იყოს მასობრივი აქციები. შესაძლებელია, აქა-იქ გაჩენილმა პროტესტებმა, საბოლოო ჯამში, თავი იჩინოს, შეიკრიბოს ეს პროტესტები და საბოლოოდ თავი იჩინოს არჩევნებზე მმართველი პარტიის ხმის არმიცემით.

– რამდენად შესაძლებელია, ეს მოხდეს არსებული კანონმდებლობით?

– მაჟორიტარული სისტემა თუ დარჩა და სრულად არ გადავედით პროპორციულზე, ეს სხვა თემაა. ამის ალბათობა არსებობს საკმაოდ დიდი, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, არ ვიცი, რამდენად გაუძლებს ხელისუფლება პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოების ნაწილის ზეწოლას.

თუ ეს სისტემა დარჩა, ეს უორმაგებს ხმებს მმართველ პარტიას. ამ შემთხვევაში ხელისუფლების შეცვლის გზა რთულდება. ეს ვიხილეთ ყველამ 2016 წელს, როდესაც საკონსტიტუციო უმრავლესობა მიიღო ხელისუფლებამ მაშინ, როდესაც მისი მხარდაჭერა არჩევნებში 51%-ს არ აღემატებოდა.

– იმისთვის, რომ თუნდაც ამ ერთ საკითხზე მაინც წამოვიდეს ხელისუფლება კომპრომისზე, ხომ არ ფიქრობთ, რომ თუ აქციები იქნება, ამ თემას სხვა მოთხოვნებიც უნდა მიებას, რათა პროტესტი უფრო მასშტაბური იყოს?

– ყველა მოთხოვნა ერთ ქვაბში ვერ მოხვდება, თუ შეიძლება ასე ითქვას. როდესაც ყველა მოთხოვნას ერთ ქვაბში ყრიან, პირიქით, ეს საპროტესტო ენერგიას ასუსტებს. მე გითხარით, რომ საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილება არის საკითხი, რომელიც პრაქტიკულად მთელ ოპოზიციურ სპექტრს აწუხებს.

იგივე არ ითქმის ყველა საკითხზე. ამიტომ უმჯობესია, კონცენტრაცია მოხდეს კონკრეტულ საკითხზე და ამ საკითხის შესაბამისი საპროტესტო ელექტორატი გამოვიდეს ასპარეზზე.

თუ ყველა მოთხოვნა ერთად ჩაიყარა, მე ვფიქრობ, რომ ეს, პირიქით, შეანელებს საპროტესტო ენერგიას.

თამაზ ბაკურიძე: „აჭარაში პანსიონები ქართული ფულით უნდა გაკეთდეს“

გულიკო ბალაძე

აჭარაში გახსნილი მუსლიმანური პანსიონები საქართველოს განათლების სისტემას არ ექვემდებარება. ბოლო წლებში თურქებმა არაერთი სკოლა-პანსიონი ააშენეს, მაგრამ, არავინ იცის, თურქულ სკოლა-პანსიონებში რას ასწავლიან, ქართველ ბავშვებს რა პროგრამებს სთავაზობენ.

გასულ წელს ხულოში გოგონათა მუსლიმური პანსიონის მშენებლობა დაიწყო. მშენებლობის ნებართვა ხულოს მერიამ გასცა. ადგილობრივ მთავრობაში ფიქრობენ, რომ ახალი პანსიონი მოსწავლეებს განათლების მიღებაში დაეხმარება. როგორ განათლებას იღებენ აჭარაში გახსნილ პანსიონებში ახალგაზრდა გოგონები, გაუგებარია.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩვენი უფლებებისთვის“ თავმჯდომარე თამაზ ბაკურიძემ ამ თემაზე „ახალი თაობის“ კითხვებს უპასუხა.

– ბატონო თამაზ, რამდენადაც ვიცი, აჭარაში ქართული პანსიონები ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, თურქულ პანსიონებში კი კარგი პირობები ყოფილა და ყველაფერი კეთდება იმისთვის, რათა ქართველები თურქულ პანსიონებში დადიოდნენ. რა ხდება ამ მხრივ?

– რაც სააკაშვილის ხელისუფლებამ დათესა, ახლა იმას ვიმკით – ეს ე.წ. პანსიონები რეგიონს მასობრივად მოედო, განსაკუთრებით, აჭარას. მე ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რადგან არ მინდა, მეზობელმა ქვეყანამ დააფინანსოს, მით უმეტეს, განათლების ან კულტურის სფეროში ჩვენი მომავალი თაობის სწავლა-აღზრდა და განათლება.

– ეს რას იწვევს?

– ამის წინააღმდეგი ვარ იმიტომ, რომ ვხედავ საშიშროებასა და საფრთხეს იმისას, მეზობელი ქვეყნის ინტერესის უკან იმალება რელიგიური ნიშნები.

– მაინც როგორ ახდენენ მეზობელი ქვეყნის წარმომადგენლები მათი ინტერესების რეალიზაციას?

– ისინი ადიან მაღალმთიან რაიონებში, სარგებლობენ სოციალურად შეჭირვებული ოჯახების მდგომარეობით, ეუბნებიან, ჩავაცმევთ, დავახურავთ, წავიყვანთ, ვასწავლით საუკეთესო გარემოში, პანსიონში სწავლას რომ დაამთავრებს, შემდეგ თურქეთში წავიყვანთ, იქ მივცემთ უმაღლეს განათლებასო.

– ეს რას ნიშნავს ჩვენთვის?

– არ მინდა, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ, არ არის გარანტია, რომ ახალგაზრდა თურქეთში განათლებამიღებული ისეთივე ცნობიერებით დაგვიბრუნდება, როგორც ქართულ სასწავლებლებში სწავლა-განათლების მიღების შემთხვევაშია. ყოველ შემთხვევაში, ხომ შეიძლება, რელიგიურმა ფაქტორებმა რაღაც პროცენტზე გავლენა მაინც მოახდინოს.

– როდესაც ახალგაზრდა აქ თურქულ პანსიონში ისწავლის, იქაც ჩავა და თურქულ სასწავლებლებში მიიღებს განათლებას, ასეთმა ადამიანმა საქართველოში რა უნდა გააკეთოს?

– საქართველოში ადამიანმა კი არა, ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ საქართველოში პანსიონები ქართული ფულით გაკეთდეს, საქართველოს ხელისუფლებამ დააფინანსოს და ჩვენი მოსახლეობისა და ახალგაზრდა თაობის სწავლა-განათლებაზე ქართულმა სახელმწიფომ იზრუნოს და არა – თურქეთმა.

– თურმე თურქული პანსიონები, რომლებიც გახსნილია აჭარაში, ქართულ განათლების სისტემას არ ექვემდებარება. როგორ შეიძლება, ქვეყანაში რამენაირი სასწავლებლები არსებობდეს და სახელმწიფოსთან კავშირი არ ჰქონდეს, აქ არ რეგისტრირდებოდეს?

– რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა, მაგრამ სააკაშვილის მმართველობის დროს ეგენი ძალიან თვითნებურად მოქმედებდნენ. ყველაფერი ერთმანეთსაა გადაჯაჭვული. ზოგი ბიზნესებთან არის დაკავშირებული, ზოგი ბიზნესინტერესების გამო აკეთებს ამას.

– სააკაშვილის მმართველობის დროს დათმობები ხდებოდა ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე?

– რა თქმა უნდა. ოღონდ თურქული ინვესტიცია შემოსულიყო, ყველაფერზე თვალი დახუჭეს. სააკაშვილმა ბათუმში საუკეთესო ადგილები გააჩუქა თურქ ბიზნესმენებზე. ბათუმი დამახინჯდა, ისეთი საჰაერო სივრცე შეიქმნა, რომ რევმატულმა დაავადებებმა მოიმატა. მომავალ წლებში რა იქნება და როგორ, არავინ იცის, ყოველგვარი განუკითხაობის არენად იქცა.

– რას გულისხმობთ?

– პანსიონთან დაკავშირებით ვსაუბრობ. ეს სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს. ყველა პანსიონი აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემას.

– ვინ უნდა იზრუნოს ამაზე?

– სახელმწიფომ, ხელისუფლებამ, განათლების სამინისტრომ. ჩვენ არავინ მოგვცემს იმის საშუალებას, რომ მეზობელ სახელმწიფოში გადავიდეთ და იქ რაიმე ტიპის სამშენებლო სამუშაოები ჩავატაროთ – სკოლა, ეკლესია და პანსიონი ავაშენოთ. ჩვენ კი, პირდაპირ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სარფში (საზღვართან ძალიან ახლოს), ეკლესიასთან კაზინო აგვიშენეს. მეპატრონე თურქეთის მოქალაქეა. თურქეთში საერთოდ აკრძალულია კაზინოს არსებობა, მით უმეტეს მეჩეთთან ან ჯამესთან ვერავინ გახსნის კაზინოს კი არა, სასადილოს ან რესტორანსაც კი, სადაც ღორის ხორცი იქნება შეტანილი. ჩვენთან ეკლესიის ეზოში კაზინო აგვიშენეს, მაგრამ განმკითხავი არავინაა.

საპროტესტო აქცია გავმართეთ და ვკითხეთ, თქვენს სახელმწიფოში რატომ არ აშენებთ-მეთქი? დიდი ცოდვაა. ეკლესიის ეზოში კაზინოს გახსნა ცოდვა არ არის-მეთქი?

– ანუ საქართველოს ტერიტორიაზე ეკლესიასთან კაზინო თურქმა ააშენა?

– დიახ. როგორც კი საზღვარზე შემოდიხარ, დიდი ეკლესიაა. იქვე გვერდით ააშენეს კაზინო.

– ალბათ საქართველოს სახელმწიფომ ნებართვა გასცა, თორემ უნებართვოდ ხომ ვერ ააშენებდა?

– საქართველოს სახელმწიფო აცხადებს, რომ გასართობი ცენტრისთვის ნებართვა არ გაუცია, სუპერმარკეტისა და სხვა დანიშნულებისთვის გავეცი, მაგრამ თვითონ ტერიტორია კერძო პირისაა.

– ამ შემთხვევაში კანონი რას ამბობს?

– ამ შემთხვევაში კანონი შენს ინტერესებზე მორგებული არ არის. თუ უნდა, კაზინოს აგიშენებს და, თუ მოინდომებს, თავზე დაგაშენებს. სახელმწიფომ ამის გამო კაზინოს მფლობელი 500 ლარით დააჯარიმა. 500 ლარი კაზინოს მფლობელისთვის 5 კაპიკია. მას ურჩევნია, კაზინო ჰქონდეს და თუნდაც 500-500 ლარი ჯარიმა ყოველ თვეში იხადოს.

– ქართული პანსიონებიც ყოფილა აჭარაში, მაგრამ ცუდი პირობები ჰქონიათ. რა ეშველება ამ პრობლემას?

– ამ საკითხს სახელმწიფოებრივი მიდგომა უშველის.

შსს: „კიევში ქართველები კი არა, აზერბაიჯანელები დააკავეს“

კიევში, ანტონოვიჩის ქუჩაზე სამართალდამცველებმა ძარცვის ბრალდებით რამდენიმე ადამიანი დააკავეს. უკრაინული მედიის ინფორმაციით, ეჭვმიტანილებმა მთელი ღამის განმავლობაში, სულ მცირე, ოთხი ადამიანი გაძარცვეს.

მათივე ცნობით, ბრალდებულები საქართველოს მოქალაქეები არიან, რომლებიც უკრაინაში ტურისტებად ჩავიდნენ და ჰოსტელში ცხოვრობდნენ. ეჭვმიტანილთა ავტომანქანის დაკავებას ხუთი საპატრულო ეკიპაჟი ახორციელებდა. ისინი ადგილობრივი დროით 04:30 საათისთვის დააკავეს. მათ ტაქსის მძღოლი და ტურისტები გაძარცვეს.

უკრაინული მედიის ცნობით, დაკავებისას ოთხმა ქართველმა პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია. ისინი აგრესიულად იქცეოდნენ. მათგან ამოღებულია საფულე, ოქროსა და ვერცხლის საათები, ძვირფასეულობა. დაკავებულები შეეცადნენ ნაქურდალი ნივთების საკანალიზაციო ქსელში და პოლიციის მანქანების ქვეშ გადაყრას. დაკავებულთაგან სამი ძლიერი ალკოჰოლური თრობის ქვეშ იყო, ერთის განცხადებით კი, მას თან ჰქონდა ნარკოტიკები.

ადგილზე დაკითხვისას მამაკაცებმა ბრალდებები უარყვეს. ისინი დაკავებული არიან.

გუშინ, 17 თებერვალს, საქართველოს შსს-მ ეს ინფორმაცია უარყო.

სამინისტროს ცნობით, დაკავებულები, სავარაუდოდ, აზერბაიჯანის მოქალაქეები არიან.

„უკრაინულ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, რომ კიევში მოქალაქეების გაქურდვის ფაქტზე 4 ქართველია დაკავებული, სიმართლეს არ შეესაბამება.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტზე, რომლის დროსაც კიევის ქუჩაში მოქალაქეები გაქურდეს, დაკავებული პირები აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეები არიან, – განუცხადეს „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

ცრუ ჩვენების მიცემისთვის ა.ს. დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლის და ცრუ ჩვენების მიცემის ბრალდებით, თბილისში, 1998 წელს დაბადებული ა.ს. დააკავეს.

სამართალდამცველების მიერ ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებებით დადგინდა, რომ ბრალდებული, გასული წლის ოქტომბერში, ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით გამოიკითხა და გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება 2019 წლის 8 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოში დაკითხვისას შეცვალა.

ა.ს. მოწმის სახით 2018 წლის ოქტომბერში ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით გამოიკითხა.

გამოკითხვისას მან აღნიშნა, რომ მძიმე დანაშაულში ბრალდებული პირები არიან კრიმინალური ავტორიტეტები. ჩვენებაში ასევე დააფიქსირა, რომ ბრალდებულთაგან ერთ-ერთი პირი წალკის მუნიციპალიტეტის „მაყურებლად“ დაინიშნა და მან კრიმინალური დაჯგუფების დახმარების მიზნით, ფულადი თანხაც გაიღო.

მოწმის მიერ აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები დადასტურდა სისხლის სამართლის საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებათა ერთობლიობით.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში რამდენიმე თვეში დაწყებულ არსებით განხილვაზე, ა.ს.-მ სასამართლოს განუცხადა, რომ ბრალდებული პირები არ არიან კრიმინალური ავტორიტეტები და ე.წ. ქურდულ სამყაროსთან მათ კავშირზე ინფორმაციას არ ფლობდა.

მან, ასევე, უარყო ფინანსური დახმარების ფაქტიც.

მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლის ბრალდებით, ა.ს.

სამართალდამცველებმა მოსამართლის განჩინებით დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ს 370-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემას სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც ბრალდებულს ბრალად მძიმე დანაშაულის ჩადენა ედება.

დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ვენაში მცხოვრებმა ქართველმა მხატვარმა, ლია გულუამ, თავი მოიკლა

კვირის ცნობით, ავსტრიაში, ვენაში მცხოვრებმა ქართველმა მხატვარმა ლია გულუამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ლია გულუას გარდაცვალების შესახებ ფეისბუქის საკუთარ გვერდზე ცნობილი ქართველი სოპრანო თამარ ივერი წერს.

როგორც ირკვევა, ლია გულუა აბაზანაში ჩამომხრჩვალი იპოვეს.

„ლია... შოკში ვარ, არ მჯერა. რატომ, ღმერთო“, – დაწერა თამარ ივერმა ფეისბუქში.

მის პოსტს ბევრი გამოხმაურება მოჰყვა.

„ვენა – სიკვდილის ქალაქი!!! ვერ მოვაშორე აქედან ჩემი შვილი((((“

„როდის, როგორ? არ მჯერა“

„ამ კვირაში მეორეა უკვე (((((((((“ – წერენ ფეისბუქში.

ლია გულუა წლების განმავლობაში ავსტრიაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

კორცხელში ერთმანეთს 2 მანქანა დაეჯახა

10 ადამიანი დაშავდა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კორცხელში 2 ავტომობილის შეჯახების შედეგად 10 ადამიანი დაშავდა. მათგან 8 ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალშია მოთავსებული.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ჰოსპიტალის კლინიკურმა მენეჯერმა სულხან ორჟონიამ უთხრა, დაშავებულები გადაუდებელი მედიცინის განყოფილებაში არიან მოთავსებული და შესაბამისი კვლევები უტარდებათ.

მისივე ინფორმაციით, დაშავებულებს მნიშვნელოვანი დაზიანებები არ აქვთ და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

თბილისში 2 უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1982 წელს დაბადებული, წარსულში მკვლელობის მცდელობისთვის ნასამართლევი ვ.მ. და 1973 წელს დაბადებული, ასევე, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი დ.კ. თბილისში დააკავეს. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ვ.მ. თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე დააკავეს. სამართალდამცველებმა, მისი ავტომანქანის ჩხრეკისას, „ბროკოვა სტრელას“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი და 6 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა, ასევე, თბილისში, ყაზბეგის გამზირზე დ.კ. დააკავა. მისი პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოღებულია „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

ქუთაისში მოტოციკლი ქვეითს დაეჯახა

მძღოლი დაიღუპა, ქვეითი გადარჩა

ქუთაისში, გუგუნავას ქუჩაზე, ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა. შემთხვევის შედეგად მოტოციკლის მძღოლი გარდაიცვალა.

შემთხვევა 15 თებერვალს, გვიან მოხდა. თვითმხილველების თქმით, მოტოციკლი ქვეითს დაეჯახა. ქვეითი დაშავდა, ხოლო მოტოციკლის მძღოლი გარდაიცვალა.

მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

მთაწმინდაზე ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს

მაყაშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს. ადგილზე სამართალდამცველები და ექსპერტ-კრიმინალისტები იყვნენ მობილიზებული.

მთაწმინდაზე სამართალდამცველებმა გარდაცვლილის ცხედარი 16 თებერვალს, დილით ნახეს.

ცხედარს ექსპერტიზა ჩაუტარდა.

გამოძიება ადგენს, რა გახდა ახალგაზრდა მამაკაცის გარდაცვალების მიზეზი.

საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით აღიძრა.

ქუთაისში გინეკოლოგი შალვა თვალავაძე დააკავეს

ქუთაისში მეან-გინეკოლოგი შალვა თვალავაძე დააკავეს.

„პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, მას ბრალი ნარკოდანაშაულისთვის წარუდგინეს.

ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროშიც დაადასტურეს, სადაც განმარტეს, რომ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა-გასაღებას გულისხმობს.

ფოთში 16 წლის მოზარდის ცხედარი 20-დღიანი ძებნის შემდეგ იპოვეს

20-დღიანი სამძებრო-სამაშველო სამუშაოების შემდეგ ფოთში 16 წლის მოზარდის ცხედარი იპოვეს, რომელიც მდინარეში სამი კვირის წინ გადავარდა.

ცხედარი შავი ზღვის სანაპირო ზოლზე, მდინარე რიონის შესართავიდან 1 კილომეტრში ნახეს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ცნობით, სამძებრო სამუშაოებში 30-მდე მაშველი იყო ჩართული, მათ შორის, მყვინთავები თბილისიდან და აჭარის რეგიონებიდან.

16 წლის მოზარდი 29 იანვარს ფოთში მდინარე რიონში ხიდის მოაჯირიდან გადავარდა.

თბილისში ავტომობილი მაღაზიაში შევარდა

ფონიჭალის დასახლებაში სუპერმარკეტ „ზღაპარს“ ავტომობილი შეეჯახა. ამის შესახებ ინფორმაციას „პრაიმტაიმი“ ავრცელებს.

შეჯახების შედეგად მაღაზიის მინის კონსტრუქციის ნაწილი ჩამოიმსხვრა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. ავტომობილის მძღოლი 250 ლარით ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის დაჯარიმდა.

კალეიდოსკოპი

მთვრალი ინდოელი მატარებლის ქვეშ ჩავარდა და გადარჩა

ინდოეთში ბაქანზე მდგომი მთვრალი მამაკაცი ლიანდაგებზე იმ დროს ჩავარდა, როდესაც სადგურს სატვირთო მატარებელი მიუახლოვდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

მახარაშტრას შტატის ქალაქ ნანდურას რკინიგზის სადგურში ბარბაცით მოსიარულე მამაკაცი ერთი ბაქნიდან მეორეზე გადასვლას ცდილობდა, მაგრამ ლიანდაგებზე პირდაპირ შემოსული სატვირთო მატარებლის წინ აღმოჩნდა. მისდა საბედნიეროდ, ის რელსებს შორის მოხვდა და მატარებელმა ისე გაიარა, რომ მისთვის ზიანი არ მიუყენებია.

როგორც კი შემადგენლობამ ჩაიარა, მამაკაცთან დასახმარებლად ლიანდაგებზე სხვა მგზავრები ჩახტნენ. მათ ის ფეხზე წამოაყენეს, ბაქანზე ასვლაში დაეხმარნენ და რკინიგზის სადგურის უფროსთან მიიყვანეს. ერთ-ერთი მგზავრის თქმით, მამაკაცი არ დაშავებულა და იმდენად იყო ნასვამი, რომ ვერც კი გაიგო, რა შეემთხვა.

ენერგეტიკულმა სასმელებმა ბრიტანელს კბილები და ცხოვრება დაუნგრია

დიდი ბრიტანეთის მკვიდრი ყოველდღე ექვს ქილა ენერგეტიკულ სასმელ Monster Energy-ს სვამდა, რაც მას კბილების დაკარგვად დაუჯდა.

ინგლისის კენტის საგრაფოს ქალაქ მარგიტის მცხოვრებმა ვინი პინერმა ენერგეტიკული სასმელების მოხმარება 2017 წლის სექტემბრიდან კოლეჯში სწავლის დროს დაიწყო. იმისთვის, რომ მხნეობა შეენარჩუნებინა და პროექტებს არ ჩამორჩენოდა, სტუდენტი კვირაში 45 ქილამდე გაზიან სასმელს მიირთმევდა, რითიც დედა ტარა პინერი შეაშფოთა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 500 მილილიტრი ენერგეტიკული სასმელი Monster Energy 54 გრამ შაქარსა და 160 მილიგრამ კოფეინს შეიცავს, ეს იმ დროს, როდესაც დიდ ბრიტანეთში დასაშვები დღიური ნორმა 30 გრამი შაქარია. სასმელის მწარმოებლის რეკომენდაციით, ადამიანს დღეში 1,36 ლიტრი სასმელი უნდა მოეხმარებინა, თუმცა 21 წლის ვინი სამ ლიტრს სვამდა.

– თავიდან დღეში სამჯერ ჭამის დროს თითო ქილას ვსვამდი და მთელი დღე თავს მხნედ ვგრძნობდი, – იგონებს ახალგაზრდა ბრიტანელი.

2017 წლის ოქტომბრიდან მან სასმელის ფუთებით შეძენა დაიწყო, ვინაიდან მიიჩნევდა, რომ ასე უფრო გონივრულად ხარჯავდა ფულს. ამის შემდეგ კი მას სასმელზე დამოკიდებულება განუვითარდა და ყოველ ჯერზე, როდესაც ის მასზე უარს ამბობდა, თავის ტკივილი და კუნთების კრუნჩხვები ეწყებოდა.

მალე კი ვინის საკვების მიღების დროს კბილების ტკივილები დაეწყო. გასული წლის მარტში ის ვაშლს ჭამდა, როდესაც ტკაცუნის ხმა მოესმა, თუმცა ამისთვის ყურადღება მანმადე არ მიუქცევია, სანამ არ იგრძნო, რომ რაღაც მკვრივი გადაყლაპა. მაშინ მიხვდა, რომ წინა ოთხი კბილი დაეფშვნა. ის შეშინდა და რამდენიმე დღე დედას მომხდარს უმალავდა. თუმცა დედამისი მალე თავად მიხვდა ყველაფერს, შემდეგ კი ნანახმა შოკში ჩააგდო. შვილი ქალმა კბილის ექიმთან მიიყვანა, მან კი დაადგინა, რომ ბიჭს ყველა კბილი უკვე დამპალი ჰქონდა. 24 მათგანის დაბჟენა კიდევ შესაძლებელი იყო, ხოლო ოთხი პროთეზით უნდა შეცვლილიყო.

მას შემდეგ ახალგაზრდა კბილებზე მკურნალობს, ხოლო ენერგეტიკული სასმელების მოყვარულებს აფრთხილებს, რომ ამ სასმელებისგან თავი რაც შეიძლება შორს დაიჭირონ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მაიკ პენსმა მერკელი გააკრიტიკა

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა მაიკ პენსმა გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი გააკრიტიკა.

როგორც ცნობილია, მერკელმა განაცხადა, რომ რუსეთთან დიალოგის სრულიად გაწყვეტა არ შეიძლება. არსებობს საკითხები, სადაც მოსკოვთან თანამშრომლობა აუცილებელია.

პენსი ამას არ დაეთანხმა.

– ამერიკა დღეს ისე ძლიერია, როგორც არასოდეს! ჩვენ დემოკრატიული სამყაროს ლიდერები ვართ, ამიტომ ვერ შევეგუებით იმას, რასაც რუსეთი აკეთებს, – განაცხადა მან.

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა თავის გერმანელ პარტნიორებს მოუწოდა, რომ მეტი პრინციპულობა და დემოკრატიულ ფასეულობათა ერთგულება გამოიჩინონ.

აშშ-ის ყოფილი ვიცეპრეზიდენტი ჯო ბაიდენი კი მიიჩნევს, რომ დემოკრატიულ სამყაროს დღეს ორი მტერი ჰყავს: რუსეთი და ჩინეთი.

– რუსეთი სუსტდება, თუმცა სულ უფრო აგრესიული ხდება! ამასთან შეგუება არ შეიძლება, – ამბობს ბაიდენი.

ყოფილი ვიცეპრემიერის აზრით, ჩინეთი, პირიქით, მზარდი ქვეყანაა, ამიტომ მისგან მომდინარე საფრთხე სულ უფრო რეალური ხდება.

– რუსეთისაგან განსხვავებით, ჩინეთი ძლიერდება! ეს უნდა გავითვალისწინოთ, – აცხადებს ბაიდენი.

პუტინმა მაკრონს დაურეკა

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ტელეფონით თავის ფრანგ კოლეგა ემანუელ მაკრონს დაუკავშირდა. საუბრის ძირითადი თემა უკრაინა და სირია იყო.

სირიასთან დაკავშირებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ კონფლიქტი დიალოგის გზით უნდა გადაწყდეს და ამ დიალოგის აქტივიზირებაა აუცილებელი.

რაც შეეხება უკრაინას, პუტინმა კატეგორიულად მოითხოვა, რომ ევროპამ ამ ქვეყნის მიმართ სანქციები შემოიღოს.

– არჩევნებში რუს დამკვირვებლებს არ უშვებენ. მიმდინარეობს ძალადობა სასულიერო პირებსა და ეროვნულ უმცირესობათა მიმართ. არ მესმის, რატომ დუმს ევროპა! – თქვა პუტინმა.

მაკრონმა ამაზე მიუგო, რომ უკრაინაში რელიგიური ნიშნით დევნა და ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრა არ მიმდინარეობს. უკრაინაში სამოქალაქო საზოგადოებაა. ქვეყანა ახალგაზრდა დემოკრატიას წარმოადგენს.

– უკრაინას სანქციები კი არა, დახმარება სჭირდება, – ასეთია საფრანგეთის ლიდერის პოზიცია.

ამერიკაში მძევლად აყვანას 4 ადამიანი შეეწირა

4 ადამიანი დაიღუპა მძევლების აყვანისას ამერიკის მისისიპის შტატში.

ეჭვმიტანილი დაკავებულია. ამის შესახებ ადგილობრივი მედია პოლიციაზე დაყრდნობით იუწყება.

მოვლენები ქალაქ კლინტონში განვითარდა.

ბოროტმოქმედს მძევლად რამდენიმე ადამიანი საცხოვრებელ სახლში 12 საათის განმავლობაში ჰყავდა აყვანილი.

ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, სახლში ოჯახის წევრები იმყოფებოდნენ, მაგრამ მათი რაოდენობა არ სახელდება.

სამართალდამცველებმა ბავშვების გათავისუფლება რამდენიმე საათში შეძლეს.

სამართალდამცველთაგან არავინ დაშავებულა.

ლონდონში კარლ მარქსის საფლავი შეურაცხყვეს

ლონდონში, ჰაიგეიტის სასაფლაოზე, კარლ მარქსის საფლავი შეურაცხყვეს. მასზე დანით ამოტვიფრეს წარწერა: „გენოციდის არქიტექტორი“.

ეს მარქსის საფლავის შეურაცხყოფის მეორე შემთხვევაა.

ცოტა ხის წინ უცნობმა პირებმა ნაჯახით მარქსის ბიუსტი დააზიანეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● ფოტოსურათით მოგიხსნით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ჯადო-თვალი-წყევლას, დეპრესიას, უიმედობას, შებოჭილობას, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, თვითმკვლელობის სურვილს და სხვა პრობლემებს. ტელ: 599-49-84-23 ნანა. ფირმა „იადიგარ დაუდი“.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ვიტო კოლელიშვილი: „მსოფლიო თასი უნდა გამოვიყენოთ“

საქართველოს ნაკრების წევრ **ვიტო კლელიშვილისთვის** გასული წელი უიღბლო აღმოჩნდა – ტვინის შერყევების სიმრავლის გამო მას ექვსი თვით თამაში აეკრძალა და კლუბთან ერთად ნაკრებსაც დააკლდა.

29 წლის მორაგბემ ბოლო ტვინის შერყევა 2018 წლის 6 ოქტომბერს ლა როშელთან სტუმრად გამართულ შეხვედრაში მიიღო და მე-7 წუთზე შეცვალეს. ამჟამად ის თავს უკეთ გრძნობს, სიმპტომებმა გაიარა, ნელ-ნელა ვარჯიშს იწყებს და მარტის ბოლოს ან აპრილის დასაწყისში მოედანზე დაბრუნებას ვარაუდობს.

ეს მნიშვნელოვანია, რადგან კლერმონის მესამეხაზელი ჩვენი ნაკრებისთვის დიდი ძალაა, 2019 წლის მსოფლიო თასის დაწყებამდე კი თვეებიღა რჩება. კოლელიშვილი ცოტა ხნის წინ თბილისში იყო ჩამოსული.

– 6 ოქტომბრის შემდეგ მოედანზე აღარ გასულხარ.

– დიახ, ტვინის შერყევის გამო მოედანს დიდი ხნით ჩამოვშორდი. ეს არის ტრავმა, რომელიც სერიოზულ მიდგომას მოითხოვს. ადრე ტვინის შერყევას ასე არ ვუყურებდი, ახალგაზრდა ვიყავი და სიმპტომებიც უფრო მალე გადიოდა, თუმცა ახლა გარკვეული პერიოდით დასვენებამ მომიწია. ეს გადაწყვეტილება ექიმებთან და სამწვრთნელო შტაბთან შეთანხმებით მივიღე, რათა მომავალში გართულებები თავიდან ავირიდო. ახლა თავს უკეთ ვგრძნობ, ნელ-ნელა ვარჯიშს ვიწყებ და იმედია, ეს ყველაფერი წარსულში დარჩება.

– როგორ მიდის რეაბილიტაცია, რა ეტაპზე ხარ და როდის შეძლებ მოედანზე დაბრუნებას?

– აქამდე არაფერს ვაკეთებდი, ვისვენებდი, ავტომობილის მართვა, წიგნის კითხვა და ტელევიზორის ყურებაც კი აკრძალული მქონდა. სანაკრებო მატჩებით გამოწვეული პაუზის დროს, კლუბმა 2 კვირით თბილისში ჩამოსვლის უფლება მომცა. საფრანგეთში ჩავალ და ფიზმომზადების მწვრთნელთან ერთად გეგმას დავსახავთ. აღდგენითი პროცესი ისეთ მიდგომას მოითხოვს, როგორც მუხლის ტრავმის დროს ხდება. ვარჯიშების ინტენსივობა ნელ-ნელა გაიზრდება, შემამოწმებენ კონტაქტებისას, დამიბრუნდება თუ არა ტვინის შერყევის სიმპტომები და თუ ყველაფერი კარგად იქნება, სავარაუდოდ, 2 თვეში თამაში შემეძლება.

– ასეთი ხანგრძლივი რეაბილიტაცია სჭირდება ტვინის შერყევას?

– დიახ, რადგან სამთვიანი უქმობის ფონზე, ყველაფერი კარგად რომც იყოს, ფორმის აღდგენას დაახლოებით თვე-ნახევარი სჭირდება. როდესაც მუხლის, ან კუნთის ტრავმა გაქვს, რაღაც დოზით ვარჯიშს ახერხებ და გარკვეულწილად ფორმას ინარჩუნებ, ამ შემთხვევაში კი, არაფრის გაკეთების უფლება არ მქონდა.

– თქვენი აზრით, რამდენად სწორია ტვინის შერყევაზე ასეთი კონტროლის შემოღება?

– ჩემი აზრით, ტვინის შერყევა ის ტრავმაა, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს და მოთამაშეებს, მწვრთნელებს ეს კარგად უნდა აუხსნან. სხვა ტრავმებისგან განსხვავებით, მისი თვალით დანახვა შეუძლებელია. სწორი და კომპლექსური მკურნალობა მნიშვნელოვანია, რადგან განმეორებითი ტვინის შერყევა დამანგრეველია ადამიანის ორგანიზმისთვის. სწორედ ამიტომ, მისი სრულფასოვანი მკურნალობა აუცილებელია, რათა დროთა განმავლობაში სერიოზულმა პრობლემებმა არ იჩინოს თავი. რაგბი სულ უფრო ვითარდება, მოთამაშეები ფიზიკურად უფრო დიდები და მომზადებულები არიან, ამ დროს კი, ტვინი იჩაგრება. მნიშვნელოვანია, რომ რაგბიმ, კონტაქტურმა სპორტმა არ დაკარგოს თავისი ხიბლი, ის, რის გამოც სპორტის ეს სახეობა უამრავ გულშემატკივარს უყვარს და, ამავდროულად, მოხდეს პრევენცია. მარტო წელს საფრანგეთში 3 თუ 4 ახალგაზრდა მორაგბე დაიღუპა, რის გამოც მშობლებს ბავშვები რაგბიზე აღარ შეჰყავთ და ფრანგები ლიცენზიებს კარგავენ. ახალგაზრდების გადამზადებით, ბოჭვის ტექნიკის შეცვლით, წესების დარღვევის შემთხვევაში წითელი და ყვითელი ბარათების მომრავლებით, ვფიქრობ, რაგბი სანახაობას შეინარჩუნებს და პრევენციაც შედეგის მომტანი იქნება.

– ტრავმების გამო დიდი დრო გაგიცდა და კლუბთან პრობლემები ხომ არ შეგქმნია?

– კლერმონთან კონტრაქტის ვადა მიმდინარე სეზონის ბოლოს მეწურება. რა თქმა უნდა, ჩემს მომავალთან დაკავშირებით კითხვები დაისვა, თუმცა გადაწყვეტილი ჯერ არაფერია. რადგან ამდენი ხანია არ მითამაშია და ჯერ ზუსტად ისიც არ ვიცი როდის ჩავდგები ფორმაში, მეც მიჭირს გადაწყვეტილების მიღება. ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ მოედანზე დაბრუნების შემდეგ ვიყო იმავე შემართებით, ისეთივე ქმედითი, როგორც მანამდე და კლერმონთან თუ სხვა კლუბებთან მხოლოდ ამის შემდეგ ვისაუბრებ, რა თქმა უნდა, ჩემს აგენტთან ერთად.

– კლერმონს შარშანდელი სეზონი ჩაუვარდა, წელს კი ტრადიციულ ადგილს დაუბრუნდა და ლიდერთა შორისაა. რა იყო ჩავარდნის მიზეზი და რა შეიცვალა ზაფხულში?

– ჩემი აზრით, შარშანდელი ჩავარდნა ჩემპიონობამ განაპირობა, რაც ტოპ 14-ში ბევრ გუნდს დამართნია. ვფიქრობ, ეს მოტივაციის ნაკლებობის შედეგია. ძალიან ძნელია ამხელა

წარმატების შემდეგ იგივე განწყობის შექმნა. ეიფორიაში ვიყავით, მოსამზადებელ ეტაპსაც კი მარტივად მივუდექით და თუ მანამდე ორი თვე ვემზადებოდით, მხოლოდ სამ კვირაში ჩავეტიეთ. ამით სხვა გუნდებმა ისარგებლეს, სეზონი ცუდად დავიწყეთ და მერე დალაგება ვეღარ მოვახერხეთ. მწვრთნელებმა და მოთამაშეებმა ეს კარგად გავითავისეთ, სერიოზული მოსამზადებელი პერიოდი გავიარეთ, საქმეს ისე მივუდექით, თითქოს ყველაფერს ნულიდან ვიწყებდით და ამან გაამართლა.

– მიმდინარე სეზონში ჩატარებული 15 მატჩის შემდეგ ტოპ 14-ში 52 ქულით მეორე ადგილზე ხართ და ლიდერს (ტულუზია) მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩებით. ამავდროულად, ჩელენჯ ქაფის ჯგუფური ეტაპის ექვსივე მატჩი ბონუსით მოიგეთ და ქულათა მაქსიმუმი დააგროვეთ. არადა, ფრანგული კლუბები ამ ტურნირს დიდად არ სწყალობენ.

– კლერმონის პოლიტიკაა, სადაც ვთამაშობთ, იქნება ეს ტოპ 14, ჩემპიონთა თასი თუ ჩელენჯ ქაფი, მაქსიმალური შედეგი ვაჩვენოთ და ყველა ქულა წამოვიღოთ. ჩვენ ყოველთვის მოსაგებად ვიბრძვით, ამ შემთხვევაში ტოპ 14-ის პარალელურად ჩელენჯ ქაფზე გვიწევს თამაში და ის უნდა მოვიგოთ, რათა კლუბს კიდევ ერთი თასი შევმატოთ და გულშემატკივარი გავახაროთ.

– სანაკრებო თემაზე გადავიდეთ, სადაც ბოლოს შარშან ზაფხულში, ივნისის ტესტებზე ითამაშეთ.

– ივნისში მოტივაციის ნაკლებობას არ განვიცდიდით, მაგრამ სამწუხაროდ, არასახარბიელო შედეგი ვაჩვენეთ. არის შემთხვევები, როდესაც მარტივად ვახერხებთ დალაგებას, თუმცა ზაფხულში ეს ვერ შევძელით, ერთგვარი რეგრესი გვქონდა, რაც სპორტში ხდება ხოლმე და ეს კატასტროფა სულაც არ არის. თუმცა შემოდგომის ტესტებზე მწვრთნელებმა და ბიჭებმა ყველაფერი გამოასწორეს და ნოემბერში ძალიან მაგარი თამაშები მოიგეს, რამაც ის ჩავარდნა დაგვავიწყა. სწორედ ესაა პროფესიონალიზმის და გამოცდილების მაჩვენებელი. ყველამ კარგად გაიაზრა დაშვებული შეცდომები და ნოემბერში ძალიან მაგარი თამაში აჩვენეს!

– ფიჯის ნაკრებმა ნოემბერში საფრანგეთს მოუგო პარიზში. ეს ის გუნდია, რომელთანაც მსოფლიო თასზე მოგებას ვგეგმავთ. რა შანსები გვაქვს მათთან იაპონიაში?

– ფიჯის ნაკრებმა დაამტკიცა, რომ ამჟამად მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. ამაში ყველა დამეთანხმება, ვინც ნოემბერში მათი და საფრანგეთის ნაკრების თამაში იხილა. ითვლებოდა, რომ მათი პრობლემა ფიზიკური მოუმზადებლობა იყო, რის გამოც 60 წუთის შემდეგ სათამაშო სისტემა იშლებოდა, თუმცა ახლა აჩვენეს, რომ ყველანაირად მზად არიან. „სტად ფრანსეზე“ საფრანგეთს ისე მოუგეს, ხელი არ გაანძრევინეს. ძალიან რთული იქნება ფიჯისთან თამაში, მაგრამ მსოფლიო თასი ის ჩემპიონატია, სადაც შეიძლება ყველაფერი მოხდეს. მით უმეტეს იმ მომზადების ფონზე, რომელიც 3-თვიანი შეკრების შემდეგ გვექნება. ზაფხულის პერიოდში იმდენს და ისე ვარჯიშობთ, სულ სხვა ძალა და ენერგია გვემატება.

– წლის უმთავრესი ტურნირი სექტემბერ-ოქტომბერში გველოდება. რა შედეგს უნდა ველოდოთ იაპონიიდან?

– უელსისა და ავსტრალიის დამარცხების ამბიცია ბევრს აქვს, მაგრამ რეალურად ამის გაკეთება ძალიან რთულია. უელსსაც აქვს მსოფლიო თასზე თავისი გეგმები და ალბათ, ფინალზე, ან ნახევარფინალზე ფიქრობს. მაგრამ როდესაც მსოფლიო თასზე გავდივართ, ყველაფრისთვის მზად ვართ და თუ იაპონიაში უელსთან გამარჯვებას შევძლებთ, ეს იქნება ქართული რაგბის ისტორიაში წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი. მსოფლიო თასი არის ყველაზე მაგარი ადგილი, სადაც უელსისა და ავსტრალიის დარი გუნდების დამარცხების შანსი უნდა გამოიყენო. მწვრთნელებს კარგად აქვთ გაწერილი მოსამზადებელი ეტაპი, ვნახოთ როგორ ჩაივლის ეს პროცესი, მოსამზადებელი თამაშები. პირადად მე მჯერა, ყველაფერი შესაძლებელია და ქართული რაგბი უკვე ავიდა იმ სიმაღლეზე, რომ ასეთი გუნდების დამარცხებაც შეგვიძლია.

– მოსამზადებელ ეტაპზე შოტლანდიას ორჯერ ვეთამაშებით, აქედან ერთხელ თბილისში, „დინამო არენაზე“.

– „დინამო არენას“ აურა და გულშემატკივრების რაოდენობა ცალკე თემაა. ბოლო დროს მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაგბიშიც მეტად გათვითცნობიერებულები არიან და, ასე ვთქვათ, გვანებივრებენ. რაც შეეხება შოტლანდიასთან ორჯერ შეხვედრას, ეს დიდი ბედნიერება და მსოფლიო თასის წინ უდიდესი გამოცდილება იქნება. დარწმუნებული ვარ, ყველა ის მორაგბე, ვინც მოედანზე გავა, მაქსიმუმს გაიღებს რათა გულშემატკივარი გაახაროს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს მოსამზადებელი თამაში იქნება და შესაძლოა, მწვრთნელმა გარკვეული მორაგბეების გამოსაცდელად გამოიყენოს.

– მართალია, ნოემბერში მოედანზე ვერ გახვედი, მაგრამ, არ შეიძლება, იტალიასთან მატჩზე არ გკითხო. შეიძლებოდა მოგება?

– იყო რაღაც ფაქტორები, რის გამოც ეს თამაში ვერ მოვიგეთ, თუმცა დარწმუნებული ვარ, იტალიასთან ნოემბრის მესამე თამაში რომ გვქონოდა, ეს შემადგენლობა მათ აუცილებლად მოუგებდა. ბიჭები წამოიზარდნენ და უკვე შეუძლიათ თავისი სიტყვის თქმა. მათ წინ კიდევ არაერთი მსგავსი შეხვედრა ელით და იქ ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ შემობრუნდება. ისინი ბავშვობიდან ერთად მოდიან, ახალგაზრდულ ნაკრებებში არაერთი მაღალი დონის გუნდი დაამარცხეს და რაც მთავარია დაგვანახეს, რომ დიდი ნაკრებისთვისაც მზად არიან. ჩემს პოზიციაზე, მესამე ხაზში თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მინიმუმ 10 წელი პრობლემა არ გვექნება. ნოემბრის დანარჩენ 2 შეხვედრას თუ გავიხსენებთ, სამოასა და ტონგას ნაკრებებთან ურთულესი თამაშები სწორედ ახალგაზრდებმა შემოაბრუნეს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქართული რაგბი ვითარდება და წინ მიდის. იტალიასთან იმედგაცრუებამ ისინი კიდევ უფრო გააძლიერა, შრომისა და თავდადების შედეგად 2 მაგარი გამარჯვება აჩუქეს გულშემატკივარს.

ქართული დელეგაცია ახალგაზრდული ოლიმპიადიდან უმედლოდ ბრუნდება

სარაევოსა და აღმოსავლეთ სარაევოში დასრულდა ევროპის ზამთრის მე-14 ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი.

ოლიმპიურ ფესტივალში მონაწილეობდა ევროპის 46 ქვეყნის 14-დან 18 წლამდე ასაკის 911 სპორტსმენი. მათ შორის იყო საქართველოდან წარგზავნილი 5 სამთო მოთხილამურე – ნოდარი კოზანაშვილი, გიორგი აბრამაშვილი, სანდრო ჟორჟოლიანი, ნინო კურტანიძე, მაგატა ჯაფარიძე და ფიგურულად მოციგურავე ალინა ურუშაძე.

საქართველოს გუნდი ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე უმედლოდ დარჩა.

მულტისპორტულ ღონისძიებაზე მედლები მოიპოვეს 21 ქვეყნის წარმომადგენლებმა. მედლების ჩათვლაში 6 ოქროს, 1 ვერცხლის და 5 ბრინჯაოს მედლით პირველი ადგილი დაიკავა ნორვეგიამ. მეორეზე გავიდა შვეიცარია (5; 5; 2), ხოლო მესამეზე – საფრანგეთი (4; 3; 4).

მომდევნო ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი 2021 წელს ფინეთის ქალაქ ვუოკატში გაიმართება.

შედეგები

16 თებერვალი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიდა

როტერჰემი-უენსდი	2:2
ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩი	0:2
ბოლტონი-ნორვიჩი	0:4
იფსვიჩი-სტოკი	1:1
პრესტონი-ნოტინგემი	0:0
შეფილდი-რედინგი	4:0

ესპანეთი. ჰიმეჰა დივიზიონი

სელტა-ლევანტე	1:4
რაიო-ატლეტიკო	0:1
სოსიედადი-ლეგანესი	3:0
ბარსელონა-ვალიადოლიდი	1:0

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	24	16	6	2	61-23	54
2.ატლეტიკო	24	13	8	3	34-17	47
3.რეალი	23	14	3	6	40-27	45
4.სევილია	23	10	7	6	38-25	37
5.ხეტაფე	24	9	9	6	30-21	36
6.ალავესი	23	10	5	8	24-27	35
7.სოსიედადი	24	9	7	8	30-25	34
8.ბეტისი	23	9	5	9	26-29	32
9.ვალენსია	23	6	13	4	24-20	31
10.ეიბარი	24	7	10	7	33-34	31
11.ლევანტე	24	8	6	10	36-43	30
12.ლეგანესი	24	7	8	9	25-30	29
13.ესპანიოლი	23	8	4	11	27-37	28
14.ბილბაო	23	5	12	6	23-28	27
15.ვალიადოლიდი	24	6	8	10	19-29	26
16.ხირონა	23	5	9	9	23-33	24
17.სელტა	24	6	6	12	36-43	24
18.რაიო	24	6	5	13	27-41	23
19.ვილიარეალი	23	3	11	9	23-31	20
20.უესკა	23	4	6	13	23-39	18

ესპანეთი. მე-2 დივიზიონი

დეპორტივო-ხიმნასტიკი	1:1
სარაგოსა-ალბასეტე	0:0
ელჩე-ესტრემადურა	2:0
ოვიედო-ალკორკონი	1:0
კადისი-ტენერიფე	2:0

გერმანია. ბუნდესლიგა

ვოლფსბურგი-მაინცი	3:0
ჰოფენჰაიმი-ჰანოვერი	3:0
შალკე-ფრაიბურგი	0:0
შტუტგარტი-ლაიპციგი	1:3
ჰერტა-ვერდერი	1:1

სატურნირო ცხრილი:

1.დორტმუნდი	21	15	5	1	54-23	50
2.ბაიერნი	22	15	3	4	50-26	48
3.გლადბახი	21	13	3	5	41-21	42
4.ლაიპციგი	22	12	5	5	41-19	41
5.ვოლფსბურგი	22	10	5	7	35-30	35
6.აინტრახტი	21	9	6	6	40-27	33
7.ჰოფენჰაიმი	22	8	9	5	44-32	33
8.ლევერკუზენი	21	10	3	8	37-32	33
9.ჰერტა	22	8	8	6	35-32	32
10.ვერდერი	22	8	7	7	37-33	31
11.მაინცი	22	7	6	9	23-36	27
12.დორტმუნდი	21	7	4	10	25-39	25
13.ფრაიბურგი	22	5	9	8	29-37	24
14.შალკე	22	6	5	11	25-32	23
15.აუგდბურგი	22	4	6	12	31-40	18
16.შტუტგარტი	22	4	3	15	18-50	15
17.ჰანოვერი	22	3	5	14	20-47	14
18.ნიურნბერგი	21	2	6	13	17-46	12

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

დუისბურგი-უნიონი	2:3
ინგოლშტადი-ბოხუმი	2:1
ზ.პაული-აუე	1:2
ჰაიდენჰაიმი-ჰამბურგი	2:2

იტალია. სერია ა

კალიარი-პარმა	2:1
ატალანტა-მილანი	1:3

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	24	21	3	0	52-15	66
2.ნაპოლი	23	16	4	3	42-18	52
3.ინტერი	23	13	4	6	32-16	43
4.მილანი	24	11	9	4	35-22	42
5.ატალანტა	24	11	5	8	51-34	38
6.რომა	23	10	8	5	44-30	38
7.ლაციო	23	11	5	7	32-25	38
8.ტორინო	23	8	10	5	28-22	34
9.სამპდორია	23	9	6	8	39-30	33
10.ფიორენტინა	23	7	11	5	33-25	32
11.სასუოლო	23	7	9	7	34-36	30
12.პარმა	24	8	5	11	25-33	29
13.ჯენოა	23	6	7	10	30-40	25
14.კალიარი	24	5	9	10	21-35	24
15.სპალი	23	5	7	11	20-32	22
16.უდინეზე	23	4	7	12	18-31	19
17.ბოლონია	23	3	9	11	18-35	18
18.ემპოლი	23	4	6	13	27-45	18
19.ფროზინონე	24	3	7	14	17-46	16
20.კიევო	23	1	9	13	19-47	9

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

იტალია. სერია ბ

ბენევენტო-ჩიტადელა	1:0
კარპი-პერუჯა	0:1
პადოვა-ფოჯა	1:1
ასკოლი-სალერნიტანა	2:4

საფრანგეთი. 1 ლიგა

მარსელი-ამიენი	2:0
ანჟე-ნიცა	3:0
მონაკო-ნანტი	1:0

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	22	19	2	1	68-13	59
2.ლილი	24	15	4	5	42-22	49
3.ლიონი	25	13	7	5	40-28	46
4.მარსელი	25	12	4	9	40-34	40
5.სტ.ეტიენი	24	11	7	6	35-30	40
6.მონპელიე	23	9	10	4	31-19	37
7.ნიცა	25	10	7	8	19-26	37
8.რენი	24	10	6	8	34-31	36
9.ნიმი	25	10	6	9	37-35	36
10.სტრასბური	24	9	8	7	40-29	35
11.რეიმსი	24	8	11	5	21-22	35
12.ანჟე	25	8	9	8	29-28	33
13.ბორდო	23	7	7	9	23-25	28
14.ნანტი	25	7	6	12	30-34	27
15.ტულუზა	24	6	9	9	23-34	27
16.მონაკო	25	5	7	13	24-41	22
17.ამიენი	25	6	3	16	19-40	21
18.დიჟონი	24	5	5	14	20-38	20
19.კაენი	24	3	9	12	20-33	18
20.გენგამი	24	3	5	16	17-50	14

ჰოლანდია. ეხედივიზიონი

ალკმაარი-ვენლო	3:0
ჰერენვენი-პსვ	2:2
ერაკლესი-სიტარდი	6:0
ვიტესი-ტილბურგი	3:2

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ნასიონალი-ფეირენშე	4:0
გიმარაეში-პორტიმორენშე	2:0
პორტუ-სტუბალი	2:0

შვეიცარია. სუპერლიგა

ლუცერნი-ლუგანო	0:3
სტ.გალენი-თუნი	1:3

შოტლანდია. პრემიერლიგა

აბერდინი-სტ.მირენი	2:2
ლივინგსტონი-დანდი	1:2
რეინჯერსი-სტ.ჯონსონი	0:0
ჰიბერნიანი-ჰამილტონი	2:0

ბელგია. ა დივიზიონი

კორტრაიკი-შარლერუა	1:2
ვარეგემი-სტ.ტრუიდენი	1:1
ოსტენდე-ეუპენი	1:1
ბევერენი-გენტი	2:1

გენტის გოლი
გიორგი ქვილითაიამ გაიტანა

საბერძნეთი. სუპერლიგა

პანათინაიკოსი-ასტერასი	1:0
იანინა-ატრომიტოსი	0:2

თურქეთი. სუპერლიგა

აქხისარი-ანკარაგიუჯიუ	0:0
ბურსა-რიზე	0:2
ფენერბახჩე-ქონია	1:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

ბოჰემიანსი 1905-სიგმა	0:1
პრჟიბრჟამი-ზლინი	3:2
სლოვაკეკო-კარვინა	2:0
ბანიკი-ლიბერეცი	2:1

ჰოლანდია. ექსტრაჰანდასა

იაგელონია-პლოცკი	1:0
ზაგლებიე-არკა	3:2
კორონა-ლეხია	0:0

დანია. სუპერლიგა

ნორდსიელანდი-ჰობრო	2:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სპორტი

ილიას ზუროსმა ნაკრები შეკრიბა

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დასკვნითი მატჩებისთვის მზადება დაიწყო. ილიას ზუროსმა ეროვნული გუნდის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა, რომელთაგან ის მოთამაშეები შეირჩევა, რომლებიც 21 თებერვალს საბერძნეთს, ხოლო 24-ში ესტონეთს დაუპირისპირდებიან. გამოძახებულნი არიან, თუმცა ნაკრების შემადგენლობაში ტრავმის გამო ვერ მოხვდნენ თორნიკე შენგელია და ნიკა დარბაიძე.

მსოფლიოს 2019 წლის ჩემპიონატის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპში საქართველოს ნაკრებს გამართული 4 მატჩიდან 3 მოგება აქვს, თუმცა პირველ და მეორე ეტაპების გაერთიანებულ ცხრილში 5-5 მოგებ-წაგება გააჩნია და მუნდიალზე გასვლის შანსი გაცილებით ნაკლები აქვს, ვიდრე კონკურენტ სერბეთს. მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ გავიდეს, საქართველოს ნაკრებმა დარჩენილი ორივე შეხვედრა უნდა მოიგოს, ხოლო სერბეთმა – ესტონეთთან და ისრაელთან წააგოს.

ილიას ზუროსმა მომავალი მატჩებისთვის მოსამზადებლად ნაკრების კანდიდატები ოლიმპიურ სასახლეში შეკრიბა, სადაც ეროვნული გუნდი ბოლო ვარჯიშებს დღეს ჩაატარებს, ხოლო 19-ში, გამთენიისას, საბერძნეთში გაემგზავრება, სადაც კუნძულ კრეტაზე 21 თებერვალს ელინთა ნაკრებს დაუპირისპირდება.

საქართველოს ნაკრები საბერძნეთიდან 23 თებერვალს, გამთენიისას დაბრუნდება და ესტონეთთან მატჩისთვის მომზადებას სპორტის სასახლეში განაგრძობს. ბალტიისპირელებთან მატჩი 24 თებერვალს, თბილისის სპორტის სასახლეში, 19:00 საათზე გაიმართება.

ზუროსის გამოძახებულთა სრული სია ასეთია:

გიორგი ცინცაძე, მიხეილ ბერიშვილი (ორივე ალ-შამალი, ყატარი), თად მაკფადენი (უკლუბოდ), ლუკა ბულაშვილი (კულერედო, ესპანეთი), რატი ანდრონიკაშვილი (ბურგოსი, ესპანეთი), დუდა სანაძე (რადომი, პოლონეთი), დავით ლომიძე, ლევან ფაცაცია, აკაკი დვალიშვილი (ყველა ქუთაისი), მიხეილ ჭოჭუა, მერაბ ბოქოლოშვილი (ორივე დინამო), რევაზ როგავა (ოლიმპი), სანდრო სანაძე, გიორგი კორსანტია (ორივე თსუ-ჰიუნდაი), ნიკა მეცხვარიშვილი (კავკასია), დავით კაკუშაძე (ნიუ ჰემპშირი, აშშ), ბექა ბურჯანაძე (გიპუსკოა, ესპანეთი), სანდრო მამუკელაშვილი (სეტონ ჰოლი, აშშ), ილია ლონდარიძე (შსს აკადემია), გიორგი შერმადინი (უნიკახა, ესპანეთი), გოგა ბითაძე (ბუდუჩნოსტი, ჩერნოგორია), ოთარ ფხაკაძე, ბექა ბექაური, გეგი ბაქრაძე (ყველა დელტა).

ამ სიას გამოაკლდებიან ბითაძე, რომელსაც ტრავმა აქვს და მამუკელაშვილი, რომლის ჩამოსვლაც ამერიკიდან სათუოა.

ბათუმმა კონკურენტს მოუგო

ბათუმი-რუსთავი 87:65
(15:22, 18:8, 24:19, 30:16)

სუპერლიგის მე-10 ტურის ბოლო მატჩი ბათუმში გაიმართა. გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა ზღვისპირელებმა უპრინციპულეს მატჩში რუსთავს უმასპინძლეს. ორივე გუნდი სუპერლიგაში დასარჩენად იბრძვის. პირველი წრის 9 მატჩში 2 მოგებით ბათუმი მე-9, ხოლო რუსთაველები 1 მოგებით ბოლო ადგილზე გახლდნენ. შესაბამისად, მატჩს უდიდესი სატურნირო მნიშვნელობა ჰქონდა.

მატჩიც ისე დაიწყო, როგორი ინტრიგაც ახლდა – დაძაბულად, ხისტად და მოედნის გოჯის დაუთმობლად. ორივე გუნდი აქცენტს დაცვაზე აკეთებდა, იყო შეცდომები და ანგარიში თანაბრად იზრდებოდა.

პირველი პერიოდი რუსთაველებმა 22:17 მოიგეს, მეორედან კი მასპინძლებმა თამაში დაალაგეს და სწრაფი გარღვევებით ჯერ ანგარიში გაანაბეს, შემდეგ კი დაწინაურდნენ კიდეც. დიდი შესვენებისთვის ბათუმი 33:30 იგებდა, რაც საინტერესო ბრძოლას უქადდა დარბაზში მისულ მაყურებელს. თუმცა მესამე და მეოთხე პერიოდებმა ისე ჩაიარა, ვითარება არ დაძაბულა. მასპინძლებმა განსაკუთრებით დასკვნით ათწუთეულში იყოჩაღეს და რუსთაველებს ისე მოუგეს, შანსი არ მიუციათ.

საბოლოოდ ბათუმმა 87:65 იმარჯვა და სუპერლიგაში მე-3 გამარჯვება იზეიმა.

ზღვისპირელთა შორის 24 ქულით საუკეთესო კეისი შეპარდი გახლდათ. 14 ქულა ჰქონდა ნოდარ გოგოძეს, დეიან იეფტიჩის ანგარიშზე კი 13 ქულა დაგროვდა. რუსთავში 15 ქულით ბომბარდირი გახდა კენდარიუს ჰამილტონი, ჯოშუა მეისონის ანგარიშზე კი 14 ქულა დაგროვდა.

სატურნირო ცხრილი:

1.ქუთაისი	10	8	2	845:792	18
2.დინამო	10	8	2	768:704	18
3.მგზავრები	10	6	4	793:766	16
4.დელტა	10	6	4	781:723	16
5.თსუ-ჰიუნდაი	10	6	4	826:791	16
6.ოლიმპი	10	5	5	823:773	15
7.ტიტები	10	4	6	778:822	14
8.კაკტუსი	10	3	7	789:868	13
9.ბათუმი	10	3	7	763:833	13
10.რუსთავი	10	1	9	742:836	11

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ქალაქიდან სოფლიდან

ჯავშანჟილეტიანმა მამაკაცმა ახლობელს სთხოვა, მისთვის ესროლა და დაიღუპა

ამერიკის არიზონის შტატის მცხოვრებმა ტყვიაგაუმტარი ჟილეტი მოიზომა და ახლობელს სთხოვა, მისთვის ესროლა. შედეგად მამაკაცი დაიღუპა.

– 25 წლის რეი ლინჩი ახალ ტყვიაგაუმტარ ჟილეტს თავის ორ ახლობელთან ერთად ცდიდა. სამივე შაშხანიდან ხეებით შემოსაზღვრულ ზონაში ისროდა, – აღნიშნა პოლიციის წარმომადგენელმა.

შემდეგ ლინჩმა იარაღი თავის ახლობელს გადასცა, რომელიც სტივენ უოტსონი აღმოჩნდა და სთხოვა, რომ მისთვის ესროლა. მან მისი თხოვნა შეასრულა და მამაკაცი მუცელში დაიჭრა. როგორც შემდეგ გაირკვა, ტყვიამ ჯავშანჟილეტი გახვრიტა და ლინჩს სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა.

დაჭრილი სასწრაფოდ ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ის ოპერაციის დროს დაიღუპა. პოლიციამ უოტსონი არაგანზრახ მკვლელობის ბრალდებით დაიკავა.

მოშინაურებული ლეოპარდი პატრონს გაექცა და მოსწავლეებს თავს დაესხა

ჩადში მოშინაურებული ლეოპარდი თავის პატრონს გაექცა და თავს დაესხა მოსწავლეებს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ცხოველი ჯარის მაღალჩინოსნის სახლიდან გაიქცა, რომელიც დედაქალაქ ნჯამენში მდებარეობს. ეს ადგილობრივი დროით დილის დაახლოებით შვიდ საათზე მოხდა.

ადგილობრივ მცხოვრებ მუსა ისის თქმით, თავდაპირველად ლეოპარდი ერთ-ერთი ოფიცრის სახლში შეიჭრა და იქ მყოფ ხუთ ადამიანს თავს დაესხა, შემდეგ კი სკოლაში შეაღწია. იქ მან დაწყებითი კლასების ოთხი მოსწავლე და მასწავლებელი დაკბინა.

მტაცებელი იმ დროს მოკლეს, როდესაც ის სამხედრო ბაზას მიუახლოვდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქალბატონი ეთერის დიდი სამადლობელი

მოსკოვიდან:

– ქალბატონო ეთერ, რა მადლობა გეყოფათ, რომ მე გითხრათ ჩემი მორჩენისთვის. ვცხოვრობდი მოსკოვში და აღმომაჩნდა ურთულესი დაავადება ლიმფოგრამატოლოზი. ბევრი ვიმკურნალე, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს მივაკითხე ეთერს და მომცა წამალი, რომელმაც განმიკურნა ეს ვერაგი დაავადება, რასაც არ მოველოდი. ქალბატონ ეთერს ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს.

საბერძნეთიდან:

– მქონდა მკერდზე სიმსივნე. არ გავიკეთე ქიმიის კურსი და ვიხმარე თქვენი მალამო. რამდენიმე თვის შემდეგ სულ გამიქრა. რა მოხდება, რომ ჩვენთან ჩამოგიყვანოთ ცოტა ხნით. აქ მთელი ხალხი გელით. თქვენ ისეთ დაავადებებს არჩენთ, რომლებსაც მედიცინა ვერ უმკლავდება. თქვენი ბუნებრივი წამალი ხომ მამა-პაპისგან გაქვთ გადმოცემული. იგი ძალიან ბევრ დაავადებას კურნავს. აქ ვეღარ ჩამოვთვლი ყველას. ყოჩაღ, საქართველოს, რომ ასეთი ადამიანი გყავთ.

ექიმი-თერაპევტი თბილისიდან:

– ძალიან მაწუხებდა დისკოზი, უკვე სიარულს მიშლიდა ტკივილები. ვიმკურნალე ქიმიური წამლებით, მაგრამ უშედეგო აღმოჩნდა. მომარჩინა ეთერის წამალმა, აგრეთვე მქონდა მარილები ხერხემალში და მუხლის მიდამოში. ამისგანაც გავთავისუფლდი. ძალიან მადლობელი ვარ ქალბატონი ეთერის ბუნებრივი წამლების.

თბილისიდან, აკაკი ხულავა, მეცნიერ-მუშაკი:

– მაწუხებდა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული. თირკმლებში მქონდა კისტა. ხალხო, დამიჯერეთ, სულ გავთავისუფლდი დაავადებებისგან. ეს ღმერთმა გამოგვიგზავნა და კიდევ არ ვიცით მისი ყადრი. იცოცხლეთ ძალიან დიდხანს. თქვენ ყველას გვჭირდებით. არ წახვიდეთ საზღვარგარეთ, აქაც ბევრი გყავთ მოსარჩენი.

მისი ტელეფონებია: 599-96-44-63; 269-17-37 ეთერ კიკვილაშვილი.
მიაკითხეთ, არ ინანებთ. გაგონილს ნანახი სჯობია.
ყველა მორჩებით, ვინც მის წამალს დალევთ.

ასტროპროგნოზი 18 თებერვლისთვის

ვერძი – კეთილისმყოფელი დღეა აქტიური დასვენებისათვის, თქვენთვის სასიამოვნო ადამიანებთან ურთიერთობისათვის. ფიზიკურად ნუ დაიტვირთებით. **კურო** – ბედი გწყალობთ. ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. ნუ გარისკავთ. **ტყუპები** – თქვენი აქტიურობა დაფასდება და სასურველ შედეგს გამოიღებს. შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს განსაკუთრებით გაგიმართლებთ. **კირჩხიბი** – დღეს მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით, რათა ყოველგვარი უსიამოვნება და გაუგებრობა თავიდან აიცილოთ. **ლომი** – განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ ინტუიცია. ნურაფერს დაგეგმავთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერისას. **ქალწული** – დღის პირველი ნახევარი სულიერ წონასწორობას მოგიტანთ. პარტნიორების დარწმუნებას დაუბრკოლებლად მოახერხებთ. **სასწორი** – ყველა პრობლემა წარსულში რჩება. გიმართლებთ რომანტიკულ ურთიერთობებში. **ღრიანკალი** – საქმიანი შეხვედრებისა და მივლინებებისათვის შესაფერისი დღეა. წინდაუხედაობა პრობლემებს შეგიქმნით. **მშვილდოსანი** – ნებისმიერ მოვალეობას პირნათლად ასრულებთ. ვარსკვლავები გწყალობენ. **თხის რქა** – აგიმაღლდებათ შრომის ნაყოფიერება. თქვენი ავტორიტეტი საგრძნობლად იზრდება. **მერწყული** – პასიური, მშვიდი დღეა. კოლეგები და პარტნიორები მხარს გიჭერენ. **თევზები** – თვითდამკვიდრებას მშვენივრად ახერხებთ. ხელმძღვანელი პირები თქვენს მუშაობას სათანადოდ დააფასებენ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

სიჯანვოხდი



1. ბგერის გრაფიკული ნიშანი; 2. „ევგენი ...“; 3. საერთო-სახალხო კენჭისყრა; 4. სვე რთველში; 5. სამშენებლო მასალა; 6. სახელურიანი დასაკეცი სათვალე; 7. ... საზერლენდი; 8. ერთგვარი სისტემის პისტოლეტი; 9. ბილიარდის ჯოხი; 10. დიდი შეჯიბრება გარკვეული ტიპის ნავებით; 11. ქირურგიული დანა; 12. მელანი ...; 13. წილი ბიზნესში; 14. ჭადრაკის ფიგურა; 15. ცომის ასაფხეკი რკინის ნიჩაბი; 16. დიდი ზომის მაიმუნი; 17. ქალბატონი (ფრანგულად); 18. რაიმე ნიშნით გამორჩეული ადგილი; 19. მარჯნის კუნძული; 20. სიმებიანი ხემიანი საკრავი; 21. თავბრუ; 22. ერთმანეთში შეგროვებული ფულით ქეიფი; 23. სახოტბო ლექსი; 24. იუპიტერის თანამგზავრი; 25. ზოლი ხალიჩის გარშემო, არშია; 26. კლოუნის ნომერი ცირკში; 27. მცოხნელი, ძუძუმწოვარი ცხოველი; 28. ნიგვზითა და თაფლით შეზავებული მოხარშული ხორბალი; 29. წუხილის გამომხატველი შორისდებული; 30. წკეპლა (კუთხ.); 31. ეპოქა, ხანა.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰეროინი; 2. პანორამა; 3. ურთხელი; 5. აფერისტი; 7. ვაგნერი; 9. რეპარაცია; 13. მირკანი; 15. შურთხი; 16. ჩაფიძე; 18. პრიზი.

თარაზულად: 4. პედიატრი; 6. ავადჰარა; 8. კონცენტრატი; 10. ამნეზია; 11. პული; 12. ირონია; 14. აშუღი; 17. დათვი; 19. გროგი; 20. პირსინგი; 21. არფა; 22. ფილისტერი; 23. ლიგნიტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ყორე; 2. ილი; 3. სერენადა; 4. კუ; 5. აკაპულკო; 6. ლელა; 7. მალხაზი; 10. მოკო; 11. ტყვარჩელი; 12. დეკანოზი; 13. მილი; 16. ოფელია; 18. რიტუალი; 19. ოპიუმი; 21. ჯუნტა; 24. მსაჯი.

თარაზულად: 1. ყარსაღი; 3. სუძუკი; 8. სკლერა; 9. რემა; 14. ოკაცე; 15. სინხუა; 17. კუბა; 20. დურუჯი; 22. კრინი; 23. პანამა; 25. სნო; 26. ლარი; 27. პუმა; 28. ამპლიტუდა.

რობერტ სტურუა და გია ყანჩელი საავადმყოფოში ერთად მოხვდნენ

რეჟისორი რობერტ სტურუა და კომპოზიტორი გია ყანჩელი საავადმყოფოში ერთად მოხვდნენ.

ფოტო რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა თავად გაავრცელა და ერთგული მაყურებელიც აანერვიულა:

– ძველი მეგობრების შეხვედრა.

მე მგონი, უკვე მარილზე ვარ გასული!

გია სახლში მიდის – ინტერვიუ უნდა მისცეს ლამაზ გოგონას!

დიზაინერ თამარ ზოიძეს სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროება

ქართველ დიზაინერ თამარ ზოიძეს სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროება, ამისთვის კი მას საზოგადოების დახმარება სჭირდება.

თამარს, ოპერაციის გარდა, სჭირდება ორივე მენჯ-ბარძაყის სახსრის ენდოპროტეზირება და მკურნალობა, ასევე ძვლის ლაბორატორიული კვლევები უცხოეთში, რისი შესაძლებლობაც მარტოხელა დედას არ გააჩნია და საზოგადოების დახმარების იმედი აქვს.

დიზაინერს სჯერა, რომ მას კეთილი ადამიანები აუცილებლად დაეხმარებიან და ისევ შეძლებს დამოუკიდებლად გადაადგილებასა და მუშაობის გაგრძელებას. მისი დიაგნოზია ორმხრივი დისპლაზიური კოქსართროზი ორმხრივი ალგიური სინდრომითა და კიდურების ფუნქციის მოშლით.

თამარ ზოიძის დასახმარებლად საქართველოს ბანკში სპეციალური ანგარიშია გახსნილი და მისთვის თითოეული ლარიც მნიშვნელოვანია.

მწერალთა კავშირში ჯანსუღ ჩარკვიანს გაიხსენებენ

მწერალთა კავშირში 18 თებერვალს პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის ხსოვნის საღამო გაიმართება.

ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები, პოეტები, უახლოესი მეგობრები და ჯანსუღ ჩარკვიანის შემოქმედებასა და ცხოვრებაზე ისაუბრებენ.

ხსოვნის საღამოზე დაუკრავს პოეტის შვილიშვილი, პიანისტი ირმა გიგანი, რომელიც ავსტრიიდან საქართველოში ჩამოვიდა.

რუსულ „ვოისში“ ქართველმა მომღერალმა ჟიური აღაფრთოვანა

რუსულ საბავშვო „ვოისში“ მონაწილე ქართველმა მომღერალმა ნინო ჩესნერმა ჟიური და დამსწრე საზოგადოება აღაფრთოვანა.

8 წლის კონკურსანტმა ბრმა მოსმენების ტურში ედიტ პიაფის მიერ შესრულებული ცნობილი ფრანგულენოვანი სიმღერა „სიყვარულის ჰიმნი“ იმღერა და სამივე მწვრთნელი შემოაბრუნა.

ნინოს არჩევანის გაკეთება ვალერი მელაძეს, სვეტლანა ლობოდასა და პელაგეას შორის მოუწია. ნინომ არჩევანი ლობოდაზე შეაჩერა. კონკურსანტის მუსიკალური მონაცემებითა და არტისტულობით აღფრთოვანებულმა ვალერი მელაძემ მას სხვა სიმღერის შესრულებაც სთხოვა. ნინომ ჟიურის თხოვნა დააკმაყოფილა და „საქართველო“ შეასრულა, რომელსაც თამარ გვერდწითელი ასრულებს.

ნიკა გვარამიამ „საქართველოს ვარსკვლავს“ სიბანძე უწოდა

„რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ მუსიკალურ შოუ „საქართველოს ვარსკვლავს“ სასტიკი სიბანძე უწოდა.

– „მხოლოდ ქართული“ მეიდ ინ ჩინა – სირცხვილი და თავის მოჭრა. „საქართველოს ვარსკვლავი“ კი არა, „მხოლოდ ფანდური“ უნდა ერქვას ამ სასტიკ სიბანძეს.

ერთი ამის ბიუჯეტი გამოვითხოვოთ, ნოდარ მელაძე, გავიგოთ, რა გვიჯდება გადასახადის გადამხდელებს ეს 3%-იანი კატასტროფა.

პ.ს. ან აქ რეკლამა ვის და რატომ მიაქვს, ამ ურეიტინგო ქაჯობაში?! ვერ დავიჯერებ, რომ თავისი ნებით ამაში ვინმე ფულს იხდის, – დაწერა ნიკა გვარამიამ ფეისბუქში.

ნინა სუბლატს მოტოციკლის სარკე მოჰპარეს

მომღერალი ნინა სუბლატი გაქურდეს. შემთხვევა თბილისში მოხდა. ბოროტმოქმედებმა ნინას მოტოციკლეტიდან მარჯვენა სარკე მოიპარეს.

ნინა სუბლატი:

– მარტო მარჯვენა სარკე სჭირდებოდა საყვარელს... კუდიანი ქალის სარკე რომ არც უნდა მოიპარო და არც ჩაიხედო, ეგ აღარ იცოდა.

ქეთევან კიკნაძე ნინო ჯანგირაშვილს ემუქრება

მსახიობი ქეთევან კიკნაძე ჟურნალისტ ნინო ჯანგირაშვილს ემუქრება. ამის მიზეზი ჟურნალისტის მხრიდან ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში ბიძინა ივანიშვილის მისამართით გაკეთებული განცხადებები გახდა.

ქეთევან კიკნაძე:

– ნინო ჯანგირაშვილო! გაგაჩუმო? შენს კაიქალობას რომ დაგიდებ ფეისბუქზე, აი, მაშინ ჩაიწყვეტ მაგ გადაჭიმულ ცხვირპირს. შენ შენს ყაჩაღობას მიხედე. გპირდები, გაგაჩუმებ!

ირაკლი კაკაბაძე დაქორწინდა

მწერალი ირაკლი კაკაბაძე დაქორწინდა. მისი რჩეული ბელა ბაჯელიძეა.

წყვილმა უახლოესი მეგობრების წრეში აღნიშნა გაბედნიერება და ჯვარიც დაიწერა. ირაკლიმ მეჯვარედ ტელეწამყვანი და ახმეტელის თეატრის მსახიობი გიორგი გასვიანი აირჩია.

– როცა მე ცოლს ვთხოულობ, ჩემი მეჯვარე თვით იულიუს კეისარია, – განაცხადა მან.

სწორედ გიორგი გასვიანი თამაშობს იულიუს კეისრის როლს ახმეტელის თეატრის სპექტაკლში „ბრუტუსი, ანუ იულიუს კეისრის მკვლელობა“.

ირაკლი კაკაბაძის მეუღლის მეჯვარეები დრამატურგი მანანა დოიაშვილი და თამილა არღვლიანი იყვნენ.

ზუგდიდის თეატრიდან 5 შვილის მამა გაათავისუფლეს

5 შვილის მამა, ზუგდიდის თეატრის მსახიობი ანდრო შამუგია თეატრის ხელმძღვანელობამ სამსახურიდან გაათავისუფლა.

ზუგდიდის თეატრის მსახიობთა დასის წევრებმა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ ბადრი წერედიანს ღია წერილით მიმართეს და კოლეგის თეატრში დაბრუნება მოითხოვეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მემანქანემ მატარებელი პირდაპირ დეპოში შეიყვანა და მგზავრები შეაშინა

გერმანიაში მემანქანემ მატარებელში, რომელიც ბონიდან ვუპერტაალში მიემართებოდა, მგზავრები ვერ შენიშნა და მატარებელი შეუჩერებლად პირდაპირ დეპოში შეიყვანა.

ინციდენტი დილის საათებში რამდენიმე დღის წინ მოხდა. მგზავრები საქალაქთაშორისო ელექტრომატარებელში ჩასხდნენ და გარკვეული დროის შემდეგ შენიშნეს, რომ ის სადგურებს გაჩერებების გარეშე გადიოდა. ისინი შეეცადნენ, მემანქანეს დაჰკავშირებოდნენ, ექსტრემალური კავშირის ღილაკს თითს აჭერდნენ, რამდენიმეჯერ ხელის მუხრუჭის გამოყენებაც კი ცადეს, თუმცა უშედეგოდ. მატარებელი სვლას აგრძელებდა.

მხოლოდ მას შემდეგ გაჩერდა მატარებელი კიოლნის მახლობლად, როდესაც მგზავრები პოლიციას დაუკავშირდნენ და მომხდარის შესახებ აცნობეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ მემანქანეს მატარებელი დეპოში მიჰყავდა და რამდენჯერმე გამოაცხადა, რომ ის სამარშრუტო პროგრამას არ ასრულებდა.

მგზავრებს მემანქანის განცხადება არ მოუსმენიათ, ისევე, როგორც, თავის მხრივ, მემანქანემ ვერ შენიშნა მატარებელში მგზავრების ჩასხდომა.

სატრანსპორტო კომპანია ეროვნულ ექსპრესში ფაქტის კომენტირებისას განაცხადეს, რომ ინციდენტი საინფორმაციო სისტემის გაუმართაობის გამო მოხდა.

სამგლოვიარო განცხადებები

თანავუგრძნობთ ღრმა მწუხარებაში ოჯახს – შვილებს, ძმას ირაკლი ლოლუას, რძალს ქალბატონ ზალინას, ძმისშვილებს სახელგანთქმული ლოტბარის ძუკუ ლოლუას შვილიშვილის, კეთილშობილი, ჰუმანური და გულისხმიერი

ალიკა ლოლუას

გარდაცვალების გამო!

ახლობლები კუსუნა და გოჩა მზარელუები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

კალეიდოსკოპი

მამაკაცმა ცოლი და მეგობარი წვეულებაზე დაპატიჟა და ამხილა

ვენესუელელმა მამაკაცმა გამართა წვეულება, რომელზეც მან თავისი საუკეთესო მეგობრისა და საკუთარი მეუღლის ურთიერთობას ფარდა ახადა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლში მამაკაცი მიკროფონის წინ პატარა სცენაზე დგას, გვერდით კი მწვანე საღამოს კაბაში გამოწყობილი ქალი უდგას, სავარაუდოდ, თავისი ცოლი. უკანა ფონზე წვეულებაზე მიწვეული ბევრი ადამიანი მოჩანს.

– დღეს გავიგე რაღაც, რასაც დიდი ხანია ვეჭვობდი, – დაიწყო მამაკაცმა, – ალბერტო (მისი საუკეთესო მეგობარი), 20 წელზე მეტია, გიცნობ. შენ ჩემი უფროსი ძმის მამა და მეგობარი ხარ, მაგრამ ჩემს ცოლთან ურთიერთობა შენი მხრიდან სრული უსულგულობაა.

შემდეგ ის ირგვლივ მყოფებს აჩვენებს მეუღლის მობილურ ტელეფონს და ხმამაღლა კითხულობს იმ შეტყობინებებს, რომლებსაც ისინი ერთმანეთს უგზავნიდნენ. შეტყობინების ტექსტში ნათქვამი იყო, რომ ალბერტო მეგობრის ცოლის დალიანასთვის სახლის ყიდვას აპირებდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მწვანე კაბაში გამოწყობილი ქალი იდგა და ყურადღებით ისმენდა, მაგრამ, როდესაც მიხვდა, რომ ქმარს ხელში მისი ტელეფონი ეჭირა, მისი წართმევა ცადა.

– გულწრფელად და მთელი გულით გიხდი მადლობას, ალბერტო, 20-წლიანი გულწრფელი და ერთგული მეგობრობისთვის და დალიანა, შენც მადლობა, იმისთვის მიუხედავად, რომ ორი წლის განმავლობაში ჩემ წინაშე ფარისევლობდი, – ამბობს მამაკაცი.

ვიდეოს ბოლო კადრებში ის ცოლის მობილურ ტელეფონს აუზში ისვრის და დაიძახებს: „მადლობა ამ საღამოსთვის, ალბერტო და დალიანა ერთმანეთს ხვდებიან“.

მამაკაცმა პუმის თავდასხმა გადაიტანა და გადარჩა

მამაკაცმა, რომელსაც პუმასთან ორთაბრძოლაში ჩაბმა მოუხდა, ჟურნალისტებთან ისაუბრა.

ინციდენტი თებერვლის დასაწყისში კოლორადოს შტატის ქალაქ ფორტ-კოლინსის მახლობლად, ერთ-ერთ პარკში მოხდა. მტაცებელი მორბენალ ტრევის კაუფმანს დაესხა თავს. როგორც თავად მამაკაცი ყვება, იმ დღეს ის მისთვის ნაცნობი მარშრუტით 20-25 კილომეტრის გარბენას გეგმავდა, მაგრამ ამინდმა მის გეგმებში ცვლილება შეიტანა.

მიწის სველმა ზედაპირმა სპორტსმენი აიძულა, მისთვის უცნობ ბილიკზე გადაეხვია, რომელზეც მხოლოდ ერთხელ და ისიც ველოსიპედით ჰქონდა გავლილი. კაუფმანს ყურსაცმები არ ეკეთა, რამაც მას საშუალება მისცა, ზურგსუკან საეჭვო ხმა გაეგონა.

– ჩემი ყველაზე საშინელი ეჭვი დადასტურდა, – აღიარებს კაუფმანი. მან თავი მიაბრუნა და მისგან სამ მეტრში პუმის სახე დალანდა.

მტაცებელი მას ნელ-ნელა უახლოვდებოდა და რამდენიმე წამის შემდეგ თავს დაესხა. კაუფმანმა პირველ რიგში ხელები სახეზე აიფარა და დაიყვირა.

– შეიძლება ითქვას, რომ ველურივით ვღრიალებდი, – განმარტა მამაკაცმა. მტაცებელმა კბილები მას ხელის მტევანში ჩაასო, ხოლო როდესაც კაუფმანმა მისი მოშორება ცადა, ორივე ბილიკის პირას დაეცა.

მამაკაცი ცხოველს ზევიდან მოექცა და ცდილობდა, მასთან ორთაბრძოლაში იქვე დაყრილი ტოტები გამოეყენებინა, თუმცა ყველა მათგანი შემოემტვრა, შემდეგ ქვას დასტაცა თავისუფალი ხელი და პუმას თავში ჩასცხო, თუმცა მან პირი მაინც არ გაუშვა. ამ დროს კაუფმანმა გაიფიქრა, რომ ან ის მოკლავდა მტაცებელს, ან პუმას ცოცხალი თავს ვერ დააღწევდა. ამის შემდეგ მან ცხოველს მარჯვენა ფეხი ყელზე დააჭირა და ასე ეჭირა, სანამ პუმამ ხელზე პირი არ გაუშვა და სუნთქვა არ შეწყვიტა.

უკანა გზაზე კაუფმანმა ორი მორბენალი შენიშნა და მათი დახმარებით საავადმყოფომდე მიაღწია. მამაკაცს პუმასთან გადატანილი ორთაბრძოლის შემდეგ სხეულზე 20-ზე მეტი ღრმა ნაჭრილობევი დარჩა, თუმცა, საბედნიეროდ, მოტეხილობებისა და მყესების დაზიანების გარეშე გადარჩა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

18 თებერვლისთვის

აშშ დოლარი — 2.6413

ევრო — 2.9791

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3851

100 რუსული რუბლი — 3.9608

ამინდის პროგნოზი 18 თებერვლისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

19 თებერვლიდან

ჯონატან სვიფტი

გულივერის მოგზაურობა

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

12 თებერვლიდან

სულხან საბა ორბელიანი

სიბრძნე სიცრუისა



ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

15 თებერვლიდან

გუსტავ ფლობერი

მადამ ბოვარი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

14 თებერვლიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

ქალი ჩანთაში

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ნიანგმა მამაკაცი მისი ნათესავის თვალწინ შეჭამა

მალაიზიაში მამაკაცი, რომელიც მდინარეში კიბორჩხალების შეგროვებით იყო დაკავებული, ნიანგმა მისი ნათესავის თვალწინ ცოცხლად შეჭამა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. მალაიზიის სარავაკის შტატში მდინარეზე უკვალოდ გაუჩინარდა ინდონეზიელი მუხ ტახირ მაჯიდ სიამი. 24 წლის ნათესავი მის მოსაძებნად წავიდა.

– მდინარის ზედაპირის დათვალიერებისას ახალგაზრდამ თავისი 40 წლის ბიძის თავი შენიშნა, რომელიც იმავე წამს ისევ წყლის სიღრმეში გაუჩინარდა, – აღნიშნა პოლიციის თანამშრომელმა მუჰამად საბრი ზაინოლმა. დაღუპული მეორე დღეს იპოვეს. მისი სხეული უამრავი ნაკბენებისგან იყო დასახიჩრებული. ამის შედეგად პოლიციელები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მამაკაცი ზღვის ნიანგმა დაგლიჯა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ინდონეზიელი მამაკაცი მალაიზიაში პალმების პლანტაციებში სამუშაოდ იყო ჩასული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ქეიფის მეორე დღეს კაცი გასიებული სახით, ჩაწითლებული თვალებით, თმააჩეჩილი და პირგაუპარსავი სარკის წინ დგას და ამბობს:

– აი თურმე როგორი ყოფილხარ მესამე ათასწლეულის ადამიანი...

●●●

ანატომიის გამოცდაზე პროფესორი სტუდენტ გოგონას ეკითხება:

– ადამიანის რომელი ორგანო ითვლება სიყვარულის სიმბოლოდ?

– კაცის თუ ქალის?

– ღმერთო ჩემო, არადა, ჩვენ დროს ეს გული იყო.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– რა საშინელებაა ეს დიეტა.

– რა, მოხდა რამე?

– ავტობუსში მამაკაცის გვერდით აღმოვჩნდი, რომელსაც შემწვარი კარტოფილის სუნი ასდიოდა...

– მერე?

– მერე თავი ველარ შევიკავე და ვუკბინე...

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:

– ძვირფასო, რას აკეთებ?

– ჩვენი ქორწინების მოწმობას ვკითხულობ.

– რატომ?

– მინდა გავიგო, ვადა როდის გასდის.

●●●

ქალი მამაკაცს შენიშვნას აძლევს:

– თუ შეიძლება, ბავშვის თანდასწრებით ნუ იგინებით!

– საერთოდ, რომ იცოდეთ, მე მხოლოდ იმ სიტყვებს ვკითხულობ, რომლებიც მაგ ბავშვმა ჩემს მანქანაზე ამოკაწრა!

●●●

ქალი მამაკაცს ეკითხება:

– მართალია, თქვენზე რომ ამბობენ, საშინელი მექალთანეაო?

– ერთი კარგად შემომხედეთ, აბა, საშინელი ვარ? საშინელი კი არა, სიმპათიური...

●●●

კაცმა სოფელში სილამაზის სალონი გახსნა და შესასვლელის თავზე დააწერა:

„შემეიხედე, რას ჰგავხარ!“

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დიდ ბრიტანეთში ციყვი-ალბინოსი შენიშნეს

ინგლისის ლინკოლნშირის საგრაფოს მცხოვრებმა ფოტოკამერით უიშვიათესი ციყვი-ალბინოსი დააფიქსირა.

ველური ბუნების ფოტოგრაფმა სტივენ პლანტმა თავისი ფოტოაპარატით მღრღნელთა ოჯახის უიშვიათესი წარმომადგენელი გადაიღო. მან უჩვეულო შეფერილობის ციყვი შენიშნა.

– როდესაც ეს პატარა ცხოველი დავინახე, საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი, – ამბობს 60 წლის ბრიტანელი ფოტოგრაფი.

– ის ძალიან ნელა მიახლოვდებოდა და თავდაპირველად ვიფიქრე, რომ ჩემ წინ ვირთხა იყო, მაგრამ შემდეგ მისი ფუმფულა კუდი დავინახე და გავშტერდი, – განმარტა პლანტმა, – მე მისგან დაახლოებით 30 მეტრში ვიდექი, თუმცა მას ჩემი იქ ყოფნა სრულიად არ აშფოთებდა. ის ნელა მოძრაობდა და ერთ მომენტში ერთ ადგილზე გაშეშდა, ამან კი რამდენიმე კარგი კადრის გადაღების საშუალება მომცა.

ძაღლის, სახელად ტრამპის მოკვლა პოლიტიკურ მკვლელობად არ ჩაითვალა

ამერიკის მინესოტის შტატში ძაღლის, სახელად დონალდ ტრამპის მკვლელობა პოლიტიკური ხასიათის არ ყოფილა. ამ ინფორმაციას პოლიციის ოფიცერზე დაყრდნობით ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ოლქის შერიფის ჯექსონის თქმით, ეჭვმიტანილი, რომელმაც ძაღლს ესროლა, კანონის საფუძველზე იცავდა საკუთარ ნახირს საკუთარ კერძო ტერიტორიაზე. სამართალდამცავების მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ საქმეში გარკვევა სოციალურ ქსელებში არაკორექტული ინფორმაციის გამო დაწყებული მუქარების გავრცელებიდან გამომდინარე გადაწყვიტეს.

ჭორები პოლიტიკური ხასიათის მკვლელობის თაობაზე მას შემდეგ გავრცელდა, როდესაც გაირკვა, რომ ძაღლის პატრონი აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის აქტიური მხარდამჭერია, ხოლო მისი მეზობელი, რომელმაც ძაღლი მოკლა, დემოკრატებს უჭერს მხარს და ამიტომ სოციალური ქსელების მომხმარებლებმა ჩათვალეს, რომ ამ უკანასკნელმა ცხოველი განზრახ მოკლა.

შვილი დედის ბუზღუნმა გააბრაზა და სახლი გადაწვა

სინგაპურში მამაკაცს, რომელმაც დაწვა სახლი, რომელშიც ის დედასთან და ძმასთან ერთად ცხოვრობდა, პატიმრობა მიესაჯა. ადგილობრივი პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას ამით სურდა, დედისთვის ჭკუა ესწავლებინა მისი გაუთავებელი ბუზღუნის გამო.

ინციდენტი გასული წლის სექტემბერში მოხდა. წინა დღეს დედამ თავისი 37 წლის შვილი როსლანი საყვედურებით იმის გამო აავსო, რომ მან უარი განუცხადა, მასზე ეზრუნა. მეორე დღეს, ადგილობრივი დროით 14:30 საათზე, ის დედასა და ძმას სახლის შესასვლელთან გადააწყდა, როდესაც ქალის ავადმყოფობის გამო საავადმყოფოში მიდიოდნენ.

როსლანი ავიდა მათ ბინაში, რომელიც მეოთხე სართულზე მდებარეობდა, ცეცხლი წაუკიდა კარადას, რომელშიც თავისი ნათესავების ნივთები ინახებოდა, შემდეგ კი ცეცხლმოკიდებული ქაღალდი დედის საწოლზეც დაადგდო. მან ალმოდებული ბინა მალევე დატოვა.

დაახლოებით 20 წუთის შემდეგ ხანძარი მეზობლის ბინაზეც გავრცელდა. ის მის ჩაქრობას შეეცადა, მაგრამ ვერ შეძლო. მაშინ მან ოჯახთან ერთად ბინა სასწრაფოდ დატოვა და პოლიციაში დარეკა. მალე შემთხვევის ადგილზე პოლიციელები და მეხანძრეები მივიდნენ და მოსახლეობის ევაკუაცია განახორციელეს.

მალევე სახლში დაბრუნებულმა როსლანის დედამ ალმოდებული სახლის დანახვაზე გონება დაკარგა და ისევ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ასევე საავადმყოფოში იქნა მოთავსებული სახლის კიდევ ერთი ბინადარი, ხოლო მათმა სამედიცინო ხარჯებმა 300 სინგაპურული დოლარი შეადგინა.

ექსპერტების შეფასებით, ხანძრის შედეგად მიყენებულმა ზარალმა დაახლოებით 31 ათასი სინგაპურული დოლარი შეადგინა. როსლანს სასამართლომ ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 1. ნავთობის გადასაზიდი გემი; 5. მოჩვენებითი ზარ-ზეიმი; 7. ციებ-ცხელება; 9. გეორგ ... (გერმანელი მათემატიკოსი); 10. მდინარის ხალებიანი თევზი; 13. რაინდთა საბრძოლო ასპარეზობა შუა საუკუნეებში; 14. პარლამენტის ზედა პალატა ბელგიაში; 15. ერთეული ვექტორი; 19. სტადიონის გარკვეული ნაწილი; 20. კოლონებზე დაყრდნობილი განივი ძელი; 21. ადამიანთა იზოლირება ეპიდემიის დროს; 22. ცრუ ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში.

შვეულად: 1. იონა ... (კომპოზიტორი); 2. საპირისპიროს აღმნიშვნელი წინსართი; 3. ერთგვარი გოგრა; 4. ტაილანდის ფულის ერთეული; 6. მოდავე მხარეთა თანასწორობის პრინციპი; 8. გემით ტვირთის გადაზიდვის ქირა; 11. ამერიკულ-კანადური ჯგუფური სამეჯლისო ცეკვა; 12. იტყვიან ქვეყნის მიმოსვლის გზებზე; 16. მდინარე რუსეთში; 17. ცხელი, ტკბილი წყლით შეზავებული კონიაკი, რომი ან არაყი; 18. მასის ერთეული (ფიზ.).

შეადგინა ოლივერ კოხიამ